# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 27 დეკემბერი, 2014 წელი.

№262 (7643)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## ირაკლი ღარიბაშვილი: ძალიან მარტივია განცხადებების გაკეთება, საქმის კეთებაა რთული

### პრემიერ-მინისტრის პრესკონფერენცია ექსპო-ჯორჯიაში 2014 წლის 26 დეკემბერს



### ნაციონალური მოძრაობა დანგრეულია

**ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები შეგვიძლია „კრიმინალებად“ მოვიხსენიოთ“,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

**„სამართლიანობის აღდგენა დავიწყეთ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან. ჩვენ გახმაურებული საქმეების გამოძიების ძირითადი ნაწილი, პრაქტიკულად, დავასრულეთ. ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც დანაშაულებრივი სისტემის არქიტექტორები და შემქმნელები იყვნენ ან სხედან ციხეში, ან არიან გაქცეულები. რამდენიმე საქმე ძიების პროცესშია და მუშაობა დასრულდება. როგორც დაპირებული იყო, წლის ბოლომდე ძირითადი საქმეები დაიხურებოდა და პრინციპში ასეც არის. შეიძლება უკვე კრიმინალებად ოფიციალურად მოვიხსენიოთ ეს ადამიანები“.**

პრემიერის შეფასებით, სისტემა, რომელიც არსებობდა იყო ჩვენი სირცხვილი, რომელიც შავ ლაქად გაჰყვება ქართულ პოლიტიკას წლების განმავლობაში.

რაც შეეხება უშუალოდ ნაციონალურ მოძრაობას, ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებით, ის „დანგრეულია“.

**„დანგრეულები არიან და მგონი უარესიც სჭირთ. ამაზე მეტი რა უნდა მოუვიდეთ“,** — აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

### საქართველოს მთავრობა, როგორც ყველა ევროპული სახელმწიფო და მსოფლიო, უკრაინაში სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობისგან გამიჯნულია

**ჩვენი მონაწილეობა, ჩართულობა, დახმარება, მხარდაჭერა უკრაინისადმი შემოიფარგლება მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარების და პოლიტიკური მხარდაჭერის სახით,** — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტის შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომელიც უკრაინასა და საქართველოს ურთიერთობას შეეხებოდა.

მისი თქმით, საქართველოს მთავრობა, ისევე როგორც ყველა ევროპული სახელმწიფო და მთელი მსოფლიო, უკრაინაში სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობისგან გამიჯნულია.

ჩვენ ვადასტურებთ პოზიციას უკრაინასთან მიმართებაში. მე ეს არაერთხელ გამიკეთებია, ამაზე მაღალი ტრიბუნიდან, იგივე ნატოს შტაბბინაში, ევროკავშირში. თქვენ რატომ ცდილობთ, ერთი და იგივე ვიმეორო ყოველთვის, მოსახლეობას სხვა რამე აინტერესებს. მოსახლეობას აინტერესებს მათი სოციალური პირობები, ჯანდაცვა, განათლება, ეკონომიკა, საწარმოები და ამაზე მალაპარაკეთ. ჩვენი მონაწილეობა, ჩვენი ჩართულობა, ჩვენი დახმარება, ჩვენი მხარდაჭერა შემოიფარგლება, მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარების და პოლიტიკური მხარდაჭერის სახით, უკრაინელი ხალხის და უკრაინელი მოსახლეობის მიმართ“.

იხ. 2 გვ.

## პატრიარქი კირილი: თქვენ წლების განმავლობაში თავმდაბლობით და მოთმინებით მისდევთ ქრისტეს და მიისწრაფით, იყოთ მორწმუნეთა მაგალითი



სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილი უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს ინტრონიზაციიდან 37-ე იუბილეს ულოცავს.

**„მის უწმინდესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს! თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, გულითადად გილოცავთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობლად არჩევის იუბილეს. ოდესღაც საკუთარ თავზე აიღეთ პატრიარქის ჯვრის სიმძიმე. მას შემდეგ, წლების განმავლობაში თავმდაბლობით და მოთმინებით მისდევთ ქრისტეს და მიისწრაფით, იყოთ მორწმუნეთა მაგალითი სიტყვით, ცხოვრებით, სიყვარულით, სულით, რწმენით და სიწმინდით. ვიზიარებ საქართველოს ეკლესიის სიხარულს თქვენი უწმინდესობის ინტრონიზაციის იუბილესთან დაკავშირებით. ლოცვით გისურვებთ სულიერ და ხორციელ სიძლიერეს, ამოუწურავ ძალებს და უფლის დახმარებას თქვენს უდიდეს მსახურებაში საქართველოს ეკლესიისა და ხალხის საკეთილდღეოდ“,** — ნათქვამია პატრიარქ კირილის მისალოც წერილში რომელიც, რუსეთის საპატრიარქოს ოფიციალურ ვებგვერდზეა განთავსებული.

## პარლამენტარნი შაიბნენ...



2014 წლის 26 დეკემბერი

## ჭიდაობის ფედერაციას მანუჩარ კვირკველია უხელმძღვანელებს

ჭიდაობის ფედერაციას ორი წლის განმავლობაში ვეტერანი მოჭიდავე მანუჩარ კვირკველია უხელმძღვანელებს.

კვირკველიამ ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში 59 დელეგატის ხმა დააგროვა. მისმა ერთადერთმა კონკურენტმა, პარლამენტის დეპუტატმა ვალერი გელაშვილმა კი 43 ხმა მიიღო. 3 ხმა კი ხმის დამთვლელმა კომისიამ ბათილად ცნო.

არჩევნებს დელეგატები დემოკრატიულად აფასებენ. მათი თქმით, ღირსეულმა კონკურენტმა გაიმარჯვა.

კენჭისყრისა და ხმების დათვლის შემდეგ ვალერი გელაშვილმა კონკურენტს გამარჯვება მიულოცა.

ჭიდაობის ფედერაციაში ყრილობა და კენჭისყრა 13:00 საათიდან ხმაურის ფონზე მიმდინარეობდა. მიუხედავად დაძაბული სიტუაციისა, არჩევნებმა მთლიანობაში ექსცესების გარეშე ჩაიარა.

თავდაპირველად 4 კანდიდატურა იყო დაყენებული, თუმცა ორმა საკუთარი კანდიდატურა მოხსნა.

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

# ირაკლი ღარიბაშვილი: ძალიან მარტივია განცხადებების გაკეთება, საქმის კეთებაა რთული

(პირველი გვერდიდან)

### სააკაშვილის ერთადერთი საზრუნავია, საქართველო კიდევ ერთხელ იარაღით დაუპირისპირდეს რუსეთს

ირაკლი ღარიბაშვილმა „პროვოკაციული“ უწოდა კითხვას, არის თუ არა ვლადიმერ პუტინი საქართველოსა და უკრაინის საერთო მტერი.

როგორც მან ტელეკომპანია „ტაბულას„ პასუხად განაცხადა, საქართველოს მიმართ მტრულად და მოღალატეობრივად ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მოქმედებს, რომელიც შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში ჩართვისკენ მოუწოდებს.

„ჩვენ ვართ პასუხისმგებლიანი მთავრობა — პასუხისმგებლიანი ჩვენი ხალხის წინაშე. ჩვენ უპასუხისმგებლოდ არ მოვიქცევით. ჩვენი ტერიტორიების 20% ოკუპირებულია, რუსული ჯარი დგას ჩვენს ტერიტორიაზე, არის ურთულესი ვითარება რეგიონში, უკრაინა ცეცხლის ალშია გახვეული და თქვენს ფავორიტ სააკაშვილს ერთადერთი საზრუნავი აქვს — მოხდეს საქართველოში კონფლიქტი, არეულობა და საქართველო კიდევ ერთხელ შევიდეს შეიარაღებულ დაპირისპირებაში რუსეთთან. აი, ეს არის ჩვენი ქვეყნის და ხალხის მტრობა, რასაც ჩვენ არ დავუშვებთ. მთელი ფილოსოფია იმაში კი არ არის, ვინ უფრო გაბედულად იტყვის, მტერია თუ არა, შეაგინებს თუ არა. საქმე ის არის, რომ უნდა ვიყოთ პასუხისმგებელი ჩვენს თითოეულ განცხადებაზე. მე ვარ მთავრობის მეთაური და უნდა გავაკეთო განცხადება, რომელიც სიკეთის მომტანი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის, ხალხისათვის და არა ის, რაც ქვეყანას დააზიანებს. ამ განცხადებით გინდათ გასიამოვნოთ თქვენ და ნაციონალური მოძრაობის 20-კაციანი სექტა. მე ამას არ დავუშვებ, რადგან პასუხისმგებლობა მაქვს ხალხის და ქვეყნის წინაშე“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

### დავით შავლიაშვილი ძალიან რისკიანი მენეჯერია და საქმიანობას კარგად უძღვება

ჩვენ არ ვგეგმავთ ცვლილებებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, — პრემიერმა იმის საპასუხოდ განაცხადა, რომელიც შეეხებოდა იმას, მოსალოდნელია თუ არა, რომ ნოდარ ჯავახიშვილი ინფრასტრუქტურის მინისტრი გახდეს.

„დავით შავლიაშვილი ძალიან რისკიანი მენეჯერია და ძალიან კარგად უძღვება საქმიანობას. თუ რაიმე ხარვეზი იქნება, გავასწორებთ, გავაუმჯობესებთ. ყველა უწყებაში არის იგივე მიდგომა, უწყებას სჭირდება გაუმჯობესება, ეს არის პროცესი“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, სამინისტროს საქმიანობის შესახებ გამართულ პრეზენტაციაზე დავით შავლიაშვილის დაუსწრებლობა გამოწვეული იყო მინისტრის ავადმყოფობით.

„ნუ ცდილობთ, რაღაც სკანდალური იპოვოთ ადამიანის ავადმყოფობაში. ის, რომ ადამიანმა გააცდინა პრეზენტაცია, ამაში უჩვეულო არაფერი არ არის“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქმიანობის შესახებ ანგარიში დავით შავლიაშვილის ნაცვლად მისმა მოადგილემ გიორგი ამაშუკელმა წარადგინა.

### ჩემი ოცნებაა, შეიქმნას ძლიერი სპეცსამსახურები, დაზვერვის სამსახური და პოლიცია

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირებასთან დაკავშირებით მთავრობას ისრაელის გამოცდილება მოსწონს.

სამუშაო ჯგუფის შექმნის პროცესია. გვინდა პროცესი გამჭვირვალედ წარიმართოს. მოვუსმენთ ყველა დაინტერესებულ ჯგუფს. არ შეიძლება სიჩქარე. პროცესი დაიწყება და გვაჩვენებს დროს, როდის განხორციელდება — შეიძლება 6 თვეში, შეიძლება ერთ წელიწადში, მე არ მინდა წინასწარ განცხადებები გავაკეთო და მოლოდინები შევქმნა, მაგრამ იქნება თანამედროვე, ევროპული ტიპის ძლიერი სამინისტრო და სპეცსამსახურები. ჩვენი მიზანია, სპეცსსამსახურები განვითარდნენ. ის, თუ როგორ მუშაობდნენ სპეცსამსახურები წინა ხელისუფლების დროს, იყო სამარცხვინო. ხელმძღვანელობა ქმნიდა აბსოლუტურად არაჯანსაღ გარემოს, რადგან არასწორ, მხოლოდ პოლიტიკურ დავალებებს აძლევდნენ და სპეცსამსახურები ვერ ვითარდებოდა. დღეს არის იმის უნიკალური შესაძლებლობა, რომ სპეცსამსახური განვითარდეს. ჩემი ოცნებაა შეიქმნას ძლიერი სპეცსამსახურები, ძლიერი დაზვერვის სამსახური, ძლიერი შიდაუსაფრთხოების სამსახურები და პოლიცია. — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

### მიხეილ სააკაშვილი და მისი თანაგუნდელები ჯარისკაცებს მტრულად, მოღალატეობრივად ესაუბრებიან

განცხადება თავად თავდაცვის სამინისტროს არ უნდა გაეკეთებინა, მაგრამ თუ მინისტრის ან პოლიტიკოსის მხრიდან გაკეთდებოდა, უჩვეულო არაფერი იქნებოდა, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

„რაც შეეხება უკრაინასთან დაკავშირებით გაკეთებულ პროვოკაციულ განცხადებებს, რომ ყოფილი პრეზიდენტი, ბრალდებული მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდის წევრები მოუწოდებდნენ ქართველ ჯარისკაცებს, მიდიოდა პირადი მოლაპარაკებები, რომ დათმონ მათ საქართველოს მოქალაქეობა, დათმონ საქართველოს შეიარაღებული ძალები და წავიდნენ უკრაინაში, რადგან იქ მაღალი ანაზღაურება ექნებათ, ეს არის პირდაპირი ღალატი და მოწოდება ღალატისაკენ. სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, ეს მართლაც იყო. თავდაცვის სამინისტროს განცხადება თქვენ ყველას ძალიან გაგიკვირდათ და მე ვთქვი, რომ ის განცხადება სამინისტროს არ უნდა გაეკეთებინა, მაგრამ პოლიტიკოსი თუ გააკეთებდა განცხადებას, იქ არაფერი უჩვეულო არ ეწერა“, — განაცხადა საქართველოს პრემიერ- მინისტრმა.

პრემიერის განმარტებით ტელევიზიების უმრავლესობა ხშირ შემთხვევაში დეზინფორმაციას ავრცელებს.

„მოსახლეობას აქვს განცდა, რომ რაღაც არ კეთდება. ეს ფსიქოლოგიური მომენტია, რადგან როცა ადამიანს ერთსა და იმავეს უმეორებ 24 საათის განმავლობაში, როგორც მინიმუმ მას ეჭვი აღეძვრება და ეჭვის თვალით შეხედავს ყველაფერს. ჩვენ ტელევიზიებს რეალურად უნდა დავარქვათ სააკაშვილი, უმრავლესობა ხშირ შემთხვევაში სიცრუის ტირაჟირებას ახდენს“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

„ჩვენ ამას უნდა დავუპირისპიროთ სიმართლე. ჩვენი მთავარი საყრდენი უნდა იყოს სიმართლე. ჩვენ თუ ვართ და ვიქნებით მართლები, ყველაფერი ისე დალაგდება, როგორც საჭიროა. ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ დალაგდება. ამას ვეუბნები მინისტრებსაც“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.



### მთავრობა კონკრეტულ გეგმას თებერვლამდე წარადგენს

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ბევრი სამინისტროს ბიუჯეტი შეიძლება თავის დროზე გადაჭარბებით დაიგეგმა და ფაქტობრივი შესრულება გამოვიდა, ზოგმა შეიძლება ეკონომიები გააკეთა, თუმცა, ამის გამო მინისტრები არ უნდა დავსაჯოთ. ამით ღარიბაშვილი კითხვას გამოეხმაურა, ხარჯვით ნაწილში მეორე წელია ბიუჯეტი ირღვევა, რატომ ვერ ხერხდება კონკრეტული პროექტებისთვის გამოყოფილი თანხების ეფექტიანი ათვისება და დადგება თუ არა მთავრობის ეკონომიკური გუნდის პასუხისმგებლობის საკითხი.

„მე არ გამოვრიცხავ, რომ გარკვეული ტენდერები ჩავარდა, რაღაც გადაიდო, რაღაც გაიწელა, ეს ყველა ქვეყანაში ხდება. ჩვენ ბიუჯეტის კორექტირებას არ ვახდენთ, არ გაგვიკეთებია არც გასულ წელს და არც წელს“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

კითხვაზე, არის თუ არა პრობლემა არასწორი დაგეგმვა, ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ამას არასწორად დაგეგმვას არ დაარქმევდა, იმიტომ, რომ წინასწარ ყველაფერის დაგეგმვა საკმაოდ რთულია.

### „თუ რაღაც ვერ გავაკეთე, ამისთვის საზოგადოებას ბოდიშს ვუხდი“

„ძალიან ბევრი რამ ვერ მოვასწარით სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო. მე ძალიან განვიცდი ჩვენი მოქალაქეების ყოფას, მათ მდგომარეობას. სწორედ ეს ვერ მოვასწარით და ასეთი განცდა მექნება მანამ, სანამ ჩვენს მოქალაქეებს არ მოვუგვარებთ იმ მთავარ პრობლემებს, რომელშიც ახლა ისინი იმყოფებიან. ჩვენს ქვეყანაში წლების განმავლობაში რთული ვითარებაა. ერთ და ორ დღეში ამის მოგვარება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. მე პირადად მაქვს განცდა, რომ მეტის გაკეთების საშუალება მქონდა და რაღაც ვერ გავაკეთე. თუ რაღაც ვერ გავაკეთე, ამისთვის ბოდიშს ვუხდი საზოგადოებას, მაგრამ ვაკეთებთ ყველაფერს, რაც შეგვიძლია. არ გამოვრიცხავ, რომ კიდევ უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ და უფრო მეტად გავზარდოთ ჩვენი ეფექტიანობა. ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი რამ გავაკეთეთ, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის კუთხით, მაგრამ კიდევ მეტია საჭირო. ამაში საჭიროა ყველას კონსოლიდაცია, რადგან ესაა საერთო პრობლემები და სატკივარი.

### საგარეო პოლიტიკის მიმართულებით ხარვეზები იყო

ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო და ალბათ, მარგებელიცაა, რომ შეიცვალა საგარეო საქმეთა მინისტრი, თუმცა, საერთო ჯამში, საგარეო პოლიტიკა წარმატებული იყო იქედან გამომდინარე, რომ მოვახერხეთ ასოცირების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება. რა თქმა უნდა, ეს საგარეო უწყების დამსახურებაც არის და მე ამას არავის არ ვუკარგავ, მაგრამ პირველ რიგში, ესაა მთავრობის კოორდინირებული და არა კონკრეტული მინისტრის მუშაობის შედეგი. მე ვიცი, რომ ბევრ ქვეყანაში არის ჩავარდნა, ამას სჭირდება შევსება, ამოწევა — ის რომ ჯერ კიდევ ახერხებენ დეზინფორმაციის გავრცელებას ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები, ჩემთვის ჯერ კიდევ არის გამოწვევა. ეს არის ის, რაც ვერ მოვასწარით. მაგრამ ამას გამოვასწორებთ. იგივე უკრაინაშიც, შეიძლება ვაღიაროთ, რომ მეტი აქტიურობა იყო საჭირო. ვერ ვიტყვი, რომ აქტიურობა არ იყო, მაგრამ, ალბათ, უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. ვფიქრობ, ეს გამოსწორებადია და ჩვენ ამას გამოვასწორებთ“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

### იანვრიდან ბიზნესმენებთან შეხვედრებს დაიწყებს

როგორც პრემიერ-მინისტრმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, ამის მიზანს ცალკეული რაიონების განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების გაცნობა წარმოადგენს, რომლებიც მთავრობამ შეიმუშავა.

ვფიქრობთ, კიდევ ერთი პროგრამის განხორციელება დავიწყოთ. ჩვენ თითოეული რაიონის დონეზე დავამუშავეთ რაიონებში არსებული რესურსები. ზოგიერთი პროექტის სახითაც გვაქვს ჩამოყალიბებული. ვაპირებ, იანვარში დავიწყო შეხვედრები ბიზნესმენებთან. ვაპირებთ, საჯაროდ შევთავაზოთ მათ ეს პროექტები და გამოვაცხადოთ ინტერესთა გამოხატვა თითოეული რაიონის მიხედვით. ძალიან მალე მივიღებთ დიდ ეფექტს - გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები, გამოცოცხლდება ეკონომიკა, რაიონები, რეგიონები. საჭიროა მეტი ჩართულობა და მეტი კომუნიკაცია ბიზნესთან. საქართველოში არ არის ფინანსური რესურსის ნაკლებობა. რესურსი არსებობს. ფულის საშუალება არის და ბიზნესის განვითარება შეიძლება“, — განაცხადა პრემიერმა.

### არანორმალურია ის, რომ მთელ მსოფლიოში ხდება ფასების კლება თანამიმდევრულად, საქართველოში კი - დაგვიანებით

„საწვავის ფასი მართლაც მტკივნეული საკითხია პირადად ჩემთვის, რადგან ვიცი, რომ მოსახლეობას აწუხებს. მსოფლიო ბაზარზე ის დღითი დღე კლებულობს, თუმცა არ ხდება ამის ადეკვატური ასახვა ქართულ ბაზარზე. ეს ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია. კონკურენციის სააგენტო მუშაობს ამ საკითხზე და რამდენიმე დღეში დაასრულებს პირველად შესწავლას — მას კომუნიკაცია აქვს იმპორტიორებთან. რა თქმა უნდა, მე ვისურვებდი, რომ კიდევ უფრო იკლოს საწვავის ფასმა. ასეც უნდა იყოს და ასეც იქნება ჩემი ინფორმაციით, რადგან არ შეიძლება სხვანაირად იყოს. ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებით ამ პროცესს, ვაკვირდებით თუ როგორ დააკლებენ ფასებს იმპორტიორები. ეს უნდა იყოს ადეკვატური. რა თქმა უნდა, არანორმალურია ის, რომ მთელ მსოფლიოში ხდება ფასების კლება თანამიმდევრულად, საქართველოში კი — დაგვიანებით. საჭიროა გარკვევა, ხომ არ აქვს ადგილი რაიმე კარტელურ შეთანხმებას და საქმე ხომ არ გვაქვს მონოპოლიებთან. ამას მალე გავარკვევთ და ადეკვატური რეაგირება ექნება ყველაფერს“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

### „მაესტროს“ საქმიანობაში ხელისუფლება არ ერევა

საქართველოს მთავრობა გამონაკლისია მთელ მსოფლიოში, რომელიც არ მართავს და არ აკონტროლებს არც ერთ მედიასაშუალებას.

„ერთადერთი ტელევიზია, რომელიც ასოცირდებოდა ხელისუფლებასთან, იყო“ მეცხრე არხი“, რომელიც დაიხურა საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე.

მთავრობის მეთაურის ინფორმაციით, ტელევიზიებში დღეს მიზანმიმართული ქაოსი, სიცრუის ტირაჟირება და მოსახლეობის დაძაბვა ხდება.

„ეს არის „თავისუფალი მედიის დამსახურება„. ჩვენ ამაში პასუხისმგებლობა გვაქვს მოხსნილი. ჩვენ შევპირდით მოსახლეობას, რომ მედია გათავისუფლდებოდა, ხელისუფლების ჩარევისგან, ხელისუფლების ზეწოლისგან. ჩვენ არ ვართ ხელისუფლება, რომელმაც დამოუკიდებელი ტელეკომპანია „იმედი“ შტურმით აიღო 2007 წელს, დაარბიეს და ჟურნალისტები ცემეს. ჩვენ ვართ ხელისუფლება, რომელიც არის ტოლერანტული, მიუხედავდად იმისა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ეს მათი უფლებაა. ეს არის თავისუფალი მედიის მთავარი მახასიათებელი, რაც შეეხება „მაესტროს“, წარმოდგენა არ მაქვს რაზე საუბ-

რობთ, მთავრობა, ხელისუფლება არ ერევა „მაესტროს“ საქმიანობაში და არ მაქვს ამის სურვილი. რაღა მაინცდამაინც „მაესტრო“, თუ ჩარევაა, სხვაგან ჩავერეოდით. მაგალითად, პირველ არხზე, მაგრამ არც იქ ვერევით, იქ აბსოლუტური დამოუკიდებლობაა. ყველაზე კრიტიკული შეკითხვები პირველი არხის ჟურნალისტმა დამისვა. ასეთია ჩვენი არჩევანი, ეს არის ჩვენი დანაპირები, რომ მედია იყოს თავისუფალი“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა „მაესტროსთან“ დაკავშირებით დასმულ კითხვაზე.

### პრემიერი პანკისის ხეობიდან სირიაში საბრძოლველად წასული ადამიანების საკითხს გამოეხმაურა

ჩვენ ვაპირებთ, რომ პანკისის ხეობასთან დაკავშირებით დავამუშაოთ ბიზნეს-გეგმა, რათა ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდეს, როგორც პრემიერმა აღნიშნა, პანკისის ხეობიდან მებრძოლებმა სირიაში წასვლის გადაწყვეტილება თავად მიიღეს.

„ძალიან მტკივნეულია თითოეული მოქალაქის დაკარგვა, მათი არჩევანი იყო, როდესაც ქვეყნის ტერიტორია დატოვეს და სირიაში წავიდნენ. ეს ძალიან ცუდია და ამ პროცესს ჩვენ ვსწავლობთ. ამ ადამიანებმა ტერიტორია 2-3 წლის, ზოგმა 4 წლის წინ დატოვა. ისინი სად გადაადგილდებიან, კონტროლი შეუძლებელია. როგორ წარმოგიდგენიათ, რომ ჩვენ ხალხს ავუკრძალოთ გადაადგილება? ამ ადამიანების უმრავლესობამ უკვე დატოვა ტერიტორია და არ ხდება ახალი ნაკადების გადინება. იქ მიდიან ჩვეულებრივი ევროპელები, ფრანგები, ბრიტანელები და ასე შემდეგ. ჩვენ არ ვართ გამონაკლისი. ამ პროცესს ჩვენ ვაკვირდებით“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

### პროკურატურა ეფექტურად მუშაობს

„პროკურატურა ბოლო პერიოდში ძალიან გააქტიურებულია. ძალიან ეფექტურად მუშაობს. ძალიან ბევრ საქმეს აკეთებს ერთდროულად და ძალიან კარგად გამოსდის ეს საქმე. იქ მისულია ახალგაზრდა გუნდი, რომელმაც ძალიან კარგად ააწყო მენეჯმენტი. კარგად და პროფესიონალურად მუშაობენ და აკეთებენ საქმეს. ემსახურებიან ხალხს და ქვეყანას. პოლიციაც, პროკურატურაც, ჯარიც ჩავაყენეთ ხალხის და ქვეყნის სამსახურში. ეს მოვახერხეთ ამ მოკლე დროში“, — განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურს შეკითხვა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმის გამოძიების პროცესთან დაკავშირებითაც დაუსვეს, რაზეც ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ „ასეთი მარტივი გამოსაძიებელი არ არის ბურუსით მოცული გარდაცვალება“.

### ბიძინა ივანიშვილის პარტია „ქართულ ოცნებაში“ დაბრუნების საკითხზე კონსულტაცია არ გამართულა

პრემიერის განმარტებით, თუ ეს მოხდება, საზოგადოებისთვის საჯარო გახდება.

ადრეც ვთქვი და კიდევ მინდა, გავიმეორო, მაშინ როცა ბატონმა ბიძინამ განგვიცხადა, რომ აპირებდა პოლიტიკიდან წასვლას, ყველას ჰქონდა ერთსულოვანი განწყობა და დღესაც ვფიქრობთ, რომ ის არ უნდა წასულიყო, მაგრამ ეს იყო მისი მტკიცედ ჩამოყალიბებული პოზიცია. ბატონი ბიძინა ყველაზე რთულ სფეროში მიდის — სამოქალაქო საზოგადოებას სჭირდება დღეს დახმარება, რომ განვითარდეს, მთავრობა ამყოფოს მუდმივად ფორმაში. ხალხშია უფრო მეტი სამუშაო და მან თქვა, რომ ეს არის ადგილი, სადაც უნდა გადავიდეს და იქიდან დაეხმარება ხალხს და ქვეყანას.

### ქართველი პოლიტიკოსების უმრავლესობას ხშირად გაუაზრებელი ამბიციები აქვს

ჩვენ ვაპირებთ, რომ კოალიცია შევინარჩუნოთ არჩევნებამდე და არ არის გამორიცხული, ის ამ ფორმით წარდგეს საპარლამენტო არჩევნებზე, — რაც შეეხება იმას, რამდენად მოსალოდნელია კოალიციის დაშლა, პრემიერის თქმით, ამის წინასწარ პროგნოზირება რთულია.

„ერთი წლის წინ განსხვავებით დღევანდელობისგან, არ არსებობდა საფუძველი ვინმეს განეცხადებინა, რომ კოალიცია დაიშლებოდა, ან არ დაიშლებოდა. ერთი წლის შემდეგ კი განვითარდა მოვლენები ისე, როგორც განვითარდა. ჩვენ ვნახეთ, რომ ერთ-ერთი სუბიექტი გავიდა კოალიციიდან და იცით მიზეზები ეს რატომლაც მოხდა. ასე, რომ იმის წინასწარ პროგნოზირება, ჩვენ წინასწარმეტყველები არ ვართ, კოალიციები იშლება, სუბიექტები გადიან, ახალი სუბიექტები შედიან, — ეს არის მუდმივი პროცესი, ეს არის ყველგან განახლებადი პროცესი. ეს პოლიტიკაა — ყოველდღე რაღაც იცვლება. ადამიანებთან გვაქვს საქმე, ადამიანები კი არიან მერყევები, ცვალებადნი.

### ლარის კურსის გაუფასურება და მთავრობის პოზიცია

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ეკონომიკურ გუნდს მოუწოდებს, კიდევ ერთხელ ისაუბრონ ლარის გაუფასურებასთან დაკავშირებულ პროცესებზე: „ეს განპირობებული იყო მთელი რიგი ფაქტორებით. ლარის კურსის გაუფასურება არ იყო განპირობებული მთავრობის არასწორი პოლიტიკის გამო. ეს არის დამოკიდებული რეგიონზე, ექსპორტზე, გადმორიცხვები არის შემცირებულია. მოვუწოდებ ფინანსთა მინისტრს, ეკონომიკურ გუნდს კიდევ ერთხელ ისაუბრონ ამ პროცესებზე“, — აღნიშნა ღარიბაშვილმა.

### თავდაცვის სამინისტროს განცხადება ჩემთან შეთანხმებული რომ ყოფილიყო, ამას ჩემს თავზე ავიღებდი

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადება მასთან შეთანხმებული არ იყო.

„ეს რომ ყოფილიყო შეთანხმებული, ჩემთან, გამოვიდოდი და ჩემს თავზე ავიღებდი“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, მინისტრები ხშირად აკეთებენ განცხადებებს და მას არ აქვს იმის დრო, რომ სამინისტროს ყველა განცხადება მასთან შეთანხმდეს.

სამინისტროებს აქვთ დელეგირება და ისინი თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებენ. ერთ მაგალითს ვერ დამისახელებთ, რომ ვინმესთვის რაიმე გადამებრალებინოს. ეს არ არის ჩემი სტილი, მე ასე არ მიცხოვრია“, — განაცხადა პრემიერმა.

### სანამ ნაციონალური მოძრაობა ბოდიშს არ მოუხდის ხალხს და საზოგადოებას, მე მას ოპონენტად არ ჩავთვლი

ჟურნალისტი დაინტერესდა მთავრობის თავმჯდომარის მოსაზრებით იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები დიდ დროს ხომ არ უთმობენ პოლიტიკურ ძალებთან ოპონირებას და რამდენად გამართლებულად მიაჩნია ორი



წლის განმავლობაში მუდმივად გასულ 9 წელზე აპელირება.

სრული პასუხისმგებლობით მინდა, ვთქვა, რომ ეს არის დესტრუქციული ძალა, რომელიც ჩამოყალიბდა სექტად და მათი თითოეული ქმედება მიმართულია იმისკენ, რომ მოხდეს არეულობის ფონის შექმნა საქართველოში. ამისთვის მათ აქვთ ისეთი მძლავრი იარაღი, როგორიცაა ტელევიზია. რაც შეეხება იმას, რამდენად სწორად იქცევიან ხელისუფლების წარმომადგენლები, როცა ოპონირებას უწევენ ასეთ უპასუხისმგებლო ძალას, შეიძლება, მე არ გამოვრციხავ, რომ ისინი საჭიროზე მეტ დროს უთმობდნენ მათთან ოპონირებას“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

### ჯანდაცვა არის სფერო, რომელშიც ჩავდეთ უდიდესი ძალისხმევა და უკვე გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი შედეგები

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა აქამდე არასდროს განხორციელებულა ჩვენს ქვეყანაში და ბევრის თქმა შეიძლება, თუმცა ახლა დიდხანს არ შეგაყოვნებთ, თუ რამდენი ჩვენი თანამოქალაქის სიცოცხლე გადარჩა ამ პროგრამით და რამდენმა ოჯახმა იგრძნო შვება. არ შემიძლია, განსაკუთრებით ხაზგასმით არ აღვნიშნო C ჰეპატიტის პროგრამის დაწყება საქართველოში. სულ რაღაც 2 წლის წინ C ჰეპატიტის მკურნალობა აქ გადაუჭრელ პრობლემად ითვლებოდა. დღეს ჯანდაცვის უწყებას აქვს სამოქმედო გეგმა, რომლითაც საქართველო გახდება ქვეყანა, სადაც C ჰეპატიტი, როგორც დაავადება, მთლიანად დაიძლევა. ამ გეგმის მიხედვით, პაციენტებისთვის ხელმისაწვდომი გახდება მედიკამენტი, რომელიც C ჰეპატიტისგან განკურნების 90-პროცენტიან შანსს იძლევა. ეს არის წარმოუდგენლად დიდი მიღწევა“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

### მთავრობას ჯერ კიდევ ძალიან ბევრი სამუშაო აქვს იმისთვის, რომ ეკონომიკა განვითარდეს

ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის მიხედვით, ჩვენი ქვეყანა რეგიონში არის პირველ ადგილზე, ხოლო მსოფლიო ბანკის წევრ ქვეყნებს შორის - მეორე ადგილზე, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე განმარტებით, ასეთია მსოფლიო ბანკის 2014 წლის ანგარიშის შედეგები.

### განათლების სისტემის განვითარება ერთი და ორი წლის საქმე არ არის

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, სხვა სფეროებთან ერთად, არც განათლების სფერო დარჩენილა მთავრობის ყურადღების მიღმა.

როგორც პრემიერმა განაცხადა, ამ სფეროში ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის ის, რომ მასწავლებლებს ჰქონდეთ შესაბამისი ანაზღაურება.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, მაქსიმალურად უწყობენ ხელს ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობას და ამ კუთხით თანამშრომლობენ გერმანიასთან, სხვა ქვეყნებთან, რომლებსაც უნიკალური გამოცდილება აქვთ ამ მიმართულებით.

„განათლების სისტემის განვითარება არ არის ერთი და ორი წლის საქმე. ამიტომ, ჩვენ ახლავე ვამზადებთ მყარ საფუძველს, რათა სულ რამდენიმე წელიწადში გვყავდეს თანამედროვე, ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდობა“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

### პროკურატურაში სპეციალური დეპარტამენტი შეიქმნება

„ბოლო 2 წლის განმავლობაში ჩვენ შევისწავლეთ ყველა ის განაცხადი, რომელიც ოფიციალურად შევიდა პროკურატურაში და რომელიც უკანონოდ ჩამორთმეულ ქონებას, ბიზნესებს, ასევე იმ რეპრესირებულ ადამიანებს უკავშირდებოდა, რომლებიც აცხადებდნენ, რომ უკანონოდ იხდიდნენ სასჯელს ციხეებში, რომ იყვნენ წამების, არაადამიანური მოპყრობის, გაუპატიურების მსხვერპლნი. პროკურატურამ დაასრულა ყველა ამ განაცხადის შესწავლა. მაქსიმუმ თებერვლამდე ჩვენ საზოგადოებას წარვუდგენთ კონკრეტულ გეგმას იმის თაობაზე, თუ როგორ მოხდება სამართლიანობის აღდგენის პროცესის დაწყება და დასრულება, როგორ მოხდება კომპენსირება. პროკურატურაში შეიქმნება სპეციალური დეპარტამენტი, ან სამმართველო ქონებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. ეს იქნება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

### ძალიან მარტივია განცხადებების გაკეთება, საქმის კეთებაა რთული

პრემიერ-მინისტრს უკვირს, საყდრისთან დაკავშირებით რატომ აქტიურობენ პარლამენტის წევრები მაშინ, როცა არსებობს პროკურატურა და კულტურის სამინისტრო.

„პოლიტიკოსებს ხშირად სჩვევიათ პოპულისტური და უპასუხისმგებლო განცხადებები. ეს არის გათვლილი მოკლევადიან შედეგებზე, რომ მოიპოვონ საზოგადოების კონკრეტული ჯგუფის კეთილგანწყობა. მე უფრო ოპოზიციას ვგულისხმობ, როცა ვახსენებ პოპულისტობას და გაუაზრებელ განცხადებებს. ხალხზე არავინ არ ზრუნავს, პოლიტიკოსების ძირითადი ნაწილი ზრუნავს საკუთარ პოლიტიკურ რეიტინგზე. ხშირად მე არაპოპულარულ განცხადებებს ვაკეთებ, მაგრამ ვალდებული ვარ, დავაფიქსირო სიმართლე. საყდრისში 3 ათასი ოჯახი მუშაობს, ამიტომ პოლიტიკოსებმა უფრო მეტი პასუხისმგებლობით უნდა გავაკეთოთ განცხადებები, უფრო მეტი დაფიქრება გვმართებს, უფრო მეტი თვითკრიტიკა გვმართებს. მხოლოდ პოპულიზმზე არ უნდა იყოს გათვლილი ესა თუ ის განცხადება. 3 ათასი ოჯახი სასოწარკვეთილების პირასაა. ძალიან მარტივია განცხადებების გაკეთება, საქმის კეთებაა რთული. ჩვენ უნდა შევაფასოთ, რომელი სიკეთეა უფრო მნიშვნელოვანი. თუ გინდათ, შევინარჩუნოთ არქეოლოგიური ობიექტი — დავაკონსერვოთ და 3 ათასი ოჯახი გავუშვათ სახლებში, მაგრამ მე ამის პასუხისმგებლობას ვერ ავიღებ და არ ავიღებ. მე ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ ამ 3 ათას ოჯახს დავიცავ და დიახ, შევუქმნით პირობებს, რომ კომპანიამ და ამ ოჯახებმა იქ გააგრძელოს მუშაობა“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურის მტკიცებით, საყდრისთან დაკავშირებით დაწყებული კამპანიის თანაორგანიზატორი ნაციონალური მოძრაობაა.

„დარწმუნებით გეუბნებით, რომ ნაციონალური მოძრაობაა ჩართული ამ კამპანიაში და ის არის მისი თანაორგანიზატორი. რაც შეეხება დარღვევებს, თუ რაიმე სამართალდარღვევას ჰქონდა ადგილი, ამას გამოიკვლევენ. არსებობს პროკურატურა, არსებობს პოლიცია, არსებობს კულტურის სამინისტრო, ჯერ აცალეთ ამ ხალხს. რატომ ჩქარობენ პოლიტიკოსები და რატომ იღებენ გაუაზრებელ გადაწყვეტილებას? რატომ პოპულისტობენ? რატომ ცდილობენ, რომ მასებზე მოახდინონ გავლენა, თუმცა ეს მასა არ არის განსაკუთრებული?“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

### პუტინთან შეხვედრის მზაობა გვაქვს, მაგრამ ამას კარგი მომზადება სჭირდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის მზაობა არსებობს.

მისი თქმით, ამ შეხვედრას სჭირდება ძალიან კარგი დაგეგმვა და მომზადება. „ჩვენ მიგვაჩნია, რომ შეხვედრა შეხვედრისთვის არ უნდა შედგეს. ჯერ ნაადრევია საუბარი იმაზე, როდის და რა ფორმატით შედგება შეხვედრა. ჩვენ მზაობა გვაქვს, ვფიქრობ, უნდა შედგეს ასეთი შეხვედრა, მაგრამ ამას სჭირდება ძალიან კარგი მომზადება, რომ იყოს შედეგიანი“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

### მიხეილ ხუბუტიას ცემის უკან პოლიტიკური სარჩულის ძიება არასწორია

ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე, კითხვის საპასუხოდ განაცხადა, ხომ არ შეიცვლება დამოკიდებულება საქართველოში რუსი ტურისტების მიმართ, იმ ფონზე, როდესაც ქართული წარმომავლობის ზოგიერთ რუსეთის მოქალაქეს, მაგალითად გრიგორი ლეპსსა და მიხეილ ხუბუტიას ობსტრუქციას უწყობენ.

„პოლიტიკა არის პოლიტიკოსების საქმე. ჩვენ გვაქვს ყველაზე მთავარი პრობლემა რუსეთის ხელისუფლებასთან ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით. რუსეთის ხალხთან, რა თქმა უნდა, გვინდა, რომ კარგი, კეთილმეზობლური ურთიერთობა გვქონდეს. პოლიტიკა არ უნდა აისახოს ხალხებს შორის ურთიერთობებზე. მე მხოლოდ მივესალმები რუსი ტურისტების ჩამოსვლას საქართველოში. ისტორიულად, ჩვენ ხალხებს შორის პრობლემა არ გვქონია, პირიქით, გვაქვს მეგობრული ურთიერთობა“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა და დასძინა, რომ ჩვენთვის რუსი ტურისტები, ისევე როგორც ყველა ტურისტი, ძვირფასები არიან.

რაც შეეხება ბიზნესმენ მიხეილ ხუბუტიას ცემის ფაქტს, ირაკლი ღარიბაშვილი ამ თემის პოლიტიზირების საჭიროებას ვერ ხედავს.

„იმას, რომ ბატონი ხუბუტია ცემეს, თუ რაღაც კონფლიქტი ჰქონდა რესტორანში, მე ვფიქრობ, პოლიტიკური სარჩული არ უნდა დავუდოთ. მე არ ვიცი, რა მოხდა, ალბათ, რაღაც ინციდენტს ჰქონდა ადგილი. ამას სამართალდამცველები გამოიძიებენ, მაგრამ ყველაფრის პოლიტიზირება არასწორია“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

# ნატო და აშშ: რა ინფორმაცია დაბლოკა ქართულმა მასმედიამ?

**საზოგადოებრივი ორგანიზაცია ევრაზიის ინსტიტუტი სპეციალურ განცხადებას ავრცელებს:**

**23 დეკემბერს თბილისის სასტუმრო „ვერე პალასში“ გაიმართა ევრაზიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების პრეზენტაცია, რომელიც ნატოსა და შეერთებული შტატებისადმი საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებას ასახავს. პრეზენტაციას ესწრებოდნენ გამოკითხვის ორგანიზატორები, მოწვეული სპეციალისტები, საზოგადოების წევრები და ჟურნალისტები. ყველა მათგანს დაურიგდა გამოკითხვის შედეგები, დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასებითურთ დაბეჭდილი და აკინძული სახით.**

**ტელე და რადიოარხების — „საზოგადოებრივი მაუწყებლის“, „იმედის“ და „რუსთავი 2“-ის კორესპონდენტებმა ღონისძიება ვიდეოფირზე ასახეს, ჩაიწერეს ინტერვიუები. გარდა ტელევიზიებისა, პრეზენტაციას ესწრებოდნენ რამდენიმე საინფორმაციო სააგენტოს წარმომადგენლებიც.**

**წესით და რიგით, თავისუფალი მედიის პრინციპებიდან გამომდინარე, პრეზენტაციაზე დამსწრე მასმედიისგან რომელიმე ერთს მაინც უნდა გაეშუქებინა გამოკითხვის შედეგები ან ეხსენებინა მაინც, რომ ჩატარდა ასეთი სოციოლოგიური კვლევა. მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება, შეერთებული შტატებიდან მართულმა ქართულმა ცენზურამ დაბლოკა ინფორმაციის გავრცელება.**

**რა უნდა იყოს ქართული მასმედიის ასეთი კოლექტიური დუმილის მიზეზი? ის ხომ არა, რომ გამოკითხვის შედეგები მათი დამფინანსებლების და მბრძანებლების — ამერიკელი და ევროპელი ჩინოვნიკებისათვის შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს?**

**მიუხედავად ყველაფრისა, ქვეყანა მაინც არ არის ჩალით დახურული. ცალკეული ობიექტური ინტერნეტ-სააგენტოსა და გაზეთების, ასევე სოციალური ქსელების საშუალებით და უშუალოდ მოსახლეობასთან კონტაქტით ჩვენ მაინც მივიტანთ ინფორმაციას მთელ საქართველომდე.**

**ევრაზიის ინსტიტუტის პრესსამსახური.**

ჩვენი გაზეთი გთავაზობთ აღნიშნული სოციოლოგიური კვლევის ძირითად შედეგებს და სპეციალისტთა კომენტარებს.

**გულბაათ რცხილაძე, პოლიტიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი:**

გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე, ძირითადი დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ წინა ხელისუფლების მიერ შექმნილი მითი, თითქოს ნატო არის ქართველი ერის „ისტორიული არჩევანი“, აბსოლუტურად უსაფუძვლოა. როგორც



გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიმართ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს, თანაც, ნეგატიური შეფასებები უფრო ჭარბობს. ზუსტად იგივე ითქმის ამერიკის შეერთებულ შტატებზეც. შესაბამისად, არ შეიძლება, ხელისუფლებამ უგულებელყოს საზოგადოების ამგვარი განწყობა, რომელიც საღ აზრს ეფუძნება. მოსახლეობა უფრო პრაგმატულად უყურებს ვითარებას, გამოკითხულთა 44% ამბობს, რომ ამერიკა სულაც არ არის ჩვენი მეგობარი და მშველელი, ასევე არ არის მტერი, არამედ სახელმწიფო, რომელიც საკუთარ ინტერესებს ახორციელებს (ამერიკას მეგობრად და მოკავშირედ მხოლოდ 29% მიიჩნევს, ხოლო გამოუცხადებელ მტრად და მოწინააღმდეგედ — 17%) — შესაბამისად, ხალხს ესმის, რომ საქართველო არაფერს უნდა ელოდოს ამერიკისაგან.

ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებაზე თვალს ხუჭავს ახლანდელი ხელისუფლება, სააკაშვილის და შევარდნაძის რეჟიმების მსგავსად. განსაკუთრებულ გაღიზიანებას ხალხში იწვევს ნატოს სამხედრო ოპერაციებში, ცხრა მთას იქით, ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობა (ამის წინააღმდეგია გამოკითხულთა 62%), ამიტომაც განწყობები უფრო ანტიდასავლურისკენ შეიცვალა.

საბოლოო ჯამში, ვნახეთ: ამ დღეებში რომ შემდგარიყო პლებისციტი, ნატოში შესვლის საკითხი ჩავარდებოდა — ხალხის მხოლოდ 32 პროცენტი გამოთქვამს მზადყოფნას, პლებისციტზე ხმა მისცეს საქართველოს ინტეგრაციას ნატოში. ამ ციფრს ადმინისტრაციული რესურსი, სტატისტიკური ხარვეზი, მერყევი ამომრჩეველი რომ დავუმატოთ, ყველაფერი ეს ერთად აღებული, ყველაზე ოპტიმისტური გათვლით, 48 პროცენტს ვერაფრით ვერ გადააჭარბებს. ამიტომ, ვიმეორებ: ნატო არ არის ქართველი ხალხის არჩევანი.

აუცილებლად განვმარტავ: ვიცი, რომ ჩვენი გამოკითხვის შედეგებს (1700 რესპონდენტზე მეტი მთელი საქართველოს მასშტაბით, მხოლოდ ეთნიკურად ქართულ მოსახლეობაში) დასავლეთიდან მართული პოლიტიკანები და ე. წ. „არასამთავრობოები“ არ დაეთანხმებიან და ატეხენ ვიშ-ვიშს, რომ ჩვენ „პრორუსული“ ორგანიზაცია ვართ, რომ ჩვენს დასახელებაშივეა ასახული „ევრაზიული“ მომენტი. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ მე ყველა საღ ჭკუაზე მყოფ ოპონენტს მივმართავ: ჯერ ერთი, ჩვენი გამოკითხვის მეთოდიკა აბსოლუტურად ღია და გამჭვირვალეა, **ხელზე გვაქვს შევსებული ანკეტები და მათ არავის ვუმალავთ** (განსხვავებით ამერიკული ორგანიზაციების — აირაი-ენდიაის პრინციპისაგან, დამალონ მეთოდიკა და მით უფრო, გამოყენებული ანკეტები); **მეორე და მთავარი: მზად ვართ, ხელმეორედ ჩავატაროთ გამოკითხვა ოპონენტი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, პარიტეტულ საწყისებზე.** დაე, ყველა თავად დარწმუნდეს, ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების რეალობაში. ვგონებ, რომ ვისაც სიმართლე აინტერესებს, ამ წინადადებას უნდა დათანხმდეს.

* * *

**იოსებ არჩვაძე, პროფესორი, დამოუკიდებელი ექსპერტი:**

დიდი ინტერესით გავეცანი ევრაზიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის „შედეგებს. სულ რამდენიმე კვირის წინ (2014 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში) ჩატარებული გამოკითხვა არ მიეკუთვნება რიგით სოციალურ თუ კონიუნქტურულ კვლევებს, რომელთა შედეგების პრეზენტაციას დიდ დროსა და სივრცეს უთმობენ თანამედროვე მედიასაშუალებები. ეს გამოკითხვა რეზონანსულია, უპირველეს ყოვლისა, თავისი თემატიკით, რადგანაც იგი ეხება აქტუალურ, ჩვენი ქვეყნისათვის ფაქტობრივად ბედგანმსაზღვრელ პრობლემას.

სანამ უშუალოდ მიღებულ შედეგებს შევეხები, მინდა, აღვნიშნო გამოკითხვის საკმაოდ მაღალ, აკადემიურ დონეზე ჩატარება, რაც გულისხმობს შერჩევის ველის სწორად შერჩევას და მაღალ რეპრეზენტატულობას. — 1718 რესპონდენტი სავსებით საკმარისია დამაჯერებელი, სარწმუნო ინფორმაციის მისაღებად. შედარებისათვის ვიტყვი, რომ ეს ციფრი 52 პროცენტია საქართველოსა და მის ცალკეული რეგიონების შინამეურნეობების მიხედვით შემოსავლებისა და ხარჯების კვლევისათვის შერჩეული რესპონდენტების რაოდენობისა (სულ 3350 შინამეურნეობა), რომლებსაც ჯერადად მეტ კითხვარსა და ფორმულარზე უწევთ პასუხების გაცემა. ასე რომ, გამოკვლევის შედეგებს საკმაოდ მაღალი ლეგიტიმაცია აქვთ. ამის გათვალისწინებით, **გამოკვლევის შედეგები შეიძლება 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად ჩატარებული პლებისციტის შედეგების მორალურ საპირწონედაც კი გამოდგეს** (მაშინ, მოგეხსენებათ, შედეგების დაჯამებისას „რატომღაც“ ოთხჯერ მოხდა ნატოს მხარდამჭერი მოსახლეობის წილის ცვლილება... ზრდის მიმართულებით).

გამოკვლევის რესპონდენტთა შერჩევაში გენდერული თანაფარდობა თითქმის „ბალისტიკური სიზუსტითაა“ განხორციელებული (კვლევაში — მამაკაცები/ქალები: 48.5/51.5%, საქართველოს მოსახლეობაში, შესაბამისად — 47.7/52.3%). ასევე, საკმაოდ მაღალია ასაკობრივი ნიშნით რესპონდენტთა განაწილების თანხვედრა საქართველოს მოსახლეობის შესაბამის ასაკობრივ განაწილებასთან.



გამოკითხვამ აჩვენა **საქართველოს მოსახლეობის ერთმნიშვნელოვანი უარყოფითი დამოკიდებულება ნატოსა და აშშ-ის სამხედრო ოპერაციათა ზონებში საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობაზე** — აღნიშნულს მხარს უჭერს გამოკითხულთა მხოლოდ 16 პროცენტი, მაშინ, როდესაც უარყოფითადაა განწყობილი თითქმის 4-ჯერ მეტი — 62 პროცენტი. ამასთან, რაც უფრო მაღალი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებთან გვაქვს საქმე, მით უფრო ნეგატიურია დამოკიდებულება (საპენსიო ასაკის მოსახლეობაში — მხოლოდ 8.3%). მხარდამჭერების კონტინგენტი, პროცენტულად, ყველაზე მაღალია 25 წლამდე რესპონდენტებში — აქ მათი წილი 24.5 პროცენტი, თუმცა, ამ ასაკობრივ ჯგუფში აღნიშნული გარემოებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების მქონეთა რაოდენობა მხარდამჭერთა რაოდენობას თითქმის ორჯერ აღემატება (49.4%).

ყოველი 10 გამოკითხულიდან 3 რესპონდენტი (29%) აშშ-ს საქართველოს მეგობრად მიიჩნევს. თუმცა, მათი 4/5-იც კი (81.2%) თვლის, რომ ისინი არასათანადოდ ეხმარებიან საქართველოს. ამასთან, **ყოველი მეექვსე გამოკითხული (17%) აშშ-ს მიიჩნევს მტრად.** მხოლოდ 25 წლამდე ახალგაზრდებშია ეს მაჩვენებელი დაბალ დონეზე (11.2%), დანარჩენი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით იგი მერყეობს 14.6%-დან 20.1%-მდე, რაც სერიოზული დაფიქრებისათვის უნდა განაწყობდეს ხელისუფლებას.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ **პლებისციტის შემთხვევაში იდეა საქართველოს ნატოში საქართველოს გაწევრიანების შესახებ დამარცხდებოდა — მას მხარს დაუჭერდა მოსახლეობის 1/3-ზე ნაკლები, მაშინ როცა წინააღმდეგ ხმას მისცემდა 2/5.** უნდა ვივარაუდოთ, რომ ის 16%-იანი კონტინგენტი, რომელიც არ წავიდოდა პლებისციტზე, ისინიც დიდწილად ნატოში საქართველოს გაწევრიანების მოწინააღმდეგეები არიან. ასეთთა რიგებს მე მაღალი ალბათობით მივაკუთვნებდი იმ 12 პროცენტის დიდ ნაწილსაც, რომელმაც თავი შეიკავა პასუხის გაცემისაგან.

მოსახლეობას, მიუხედავად პროპაგანდისტული კლიშეებისა და პერმანენტული „ტვინის გამორეცხვისა“, საკმაოდ მაღალ დონეზე აქვს ეროვნული თვითშენახვისა და გადარჩენის ინსტინქტი (ასე რომ არ ყოფილიყო, ქართველი ერი ვერც გაუძლებდა საუკუნეთა ქარტეხილებს). სწორედ ამ ინსტინქტის საფუძველზეა გაკეთებული დასკვნა, რომ **ნატოში გაწევრიანებაზე კურსის გაგრძელება დაძაბავს რუსეთთან ურთიერთობებს.** რუსეთთან ურთიერთობების გაუარესებას ამ შემთხვევაში ვარაუდობს 8-ჯერ მეტი რესპონდენტი იმათთან შედარებით, რომლებიც შესაძლებლად მიიჩნევენ ამ ურთიერთობების გაუმჯობესებას (შესაბამისად, 64% და 8%).

## კაკალ გულში

● **რაც უნდა ავტორიტეტებმა რამდენჯერაც არ უნდა დაგმონ თავდაცვის სამინისტროს განცხადება, იმდენჯერ გავიმეორებ, რომ ძალიანაც ნორმალური განცხადება იყო. ამას მივხვდი მაშინვე, როგორც კი პირველი სამი „დამგმობი“ გამოჩნდა: ბაჩუკი ქარდავა, პაატა დავითაია და დავით ზურაბიშვილი. დასაგმობი, ბარამიძე რომ მედესანტის ფორმით დაბოდიალობდა უკრაინაში, აი ის იყო!**

● **საახალწლოდ, მთაწმინდის რესტორანში, კონცერტს გამართავს ანსამბლი, რომელიც რეკლამაში ასე მოიხსენიეს, „პოპ-დივა მადონას საყვარელი ბოშათა ანსამბლი“... ბარემ კიმ ბესინჯერის საყვარელი საჭმელებიც თუ შევა მენიუში და სუზან სარანდონის საყვარელი ოფიციანტებიც მოგვემსახურებიან, კურტ კობეინის საყვარელ „ნირვანაში“ ვიგრძნობთ თავს...**

● **რუსეთმა შეიერთა მთელი საქართველო... თქვენ იძახეთ, არ შედის ეს აფხაზი და ოსი ხალხის ინტერესებშიო. პუტინს სულ ცოცორზე ჰკიდია**

### წრიულოვანი თეზები

**აფხაზი, ოსი, ქართველი და თქვენ წამოიდგინეთ, ნიგერიელი ხალხის ინტერესებიც.... კინაღამ დამავიწყდა... „გასაღებზე“ რა ხდება? სად დატოვეთ?**

● **წლის დეიდა — ნატო! წლის ბიძია — ბიძი (ნ)აჩემი! ...**

● **აქეთ ჯაჯანიძე, იქით მაია... აქეთ ფიცარი, იქით ფიცრის პონტია რა...**

**გაჯგიმულ... ფეხებვერმოჭმული პარლამენტი...**

**კი ვიცი, რომ არ მოესწრება ვადამდელი არჩევნები და დიდი რყევები შეიძლება მოჰყვეს ყოველივე ამას, მარა ამათ ყურებას „სვარკის“ ყურება თუ არ ჯობდეს, გეფიცებით რა...**

● **ნარმანიას კითხეს: — ბ-ნო ქალაქის მერო, თბილისის ტყე-პარკს ხედავთ? — ვერა, ჩემი დარგული ხეები მეფარებაო!**

● **უკვე ცხადია! თუ ხედავთ, ნაცები არ ტოვებენ შანსს, გაამწვავონ პოლიტიკური სიტუაცია, ზოგი პარლამენტში, ზოგი არასამთავრობოების და ფსევდოექსპერტების ნიღბით, შინ თუ გარეთ! პარალელურად ქმნიან ჩრდილოვან სამხედრო ლეგიონებს ქართული ჯართან დასაპირისპირებლად! აი, ღალატიც ამას ჰქვია! შეწყდეს უნდა პროვოკაციული გამოსვლები თავდაცვის სამინისტროს განცხადებასთან დაკავშირებით! პრემიერის გამოსვლა იყო ერთგვარი სვლა უკვე ატეხილი სკანდალის დასაშოშმინებლად! გულწრფელად ვუსამძიმრებთ ამ ადამიანის ოჯახის წევრებს და ვუსურვებ ახალგაზრდობას არ გააბრიყვებინოს თავი, გაერკვეს სიტუაციაში და არ დაადგეს ბოროტების გზას! ყველაფერს მთავრობას ნუ მოვთხოვთ, რომელიც უმძიმეს სიტუაციაშია და იძულებულია, გარკვეული დიპლომატიური განცხადებები და სვლები აკეთოს სიტუაციის განსამუხტავად! სიტუაცია კი მართლაც უსაძაგლესია! სამაგიეროდ, ბევრი რამ ცხადდება!**

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძე**

ინფორმაციული ვაკუუმი, თუ?!

# საქართველოს ევროკავშირში ინტეგრირების მთავარი გამოწვევა... შიდა ინტეგრაციაა

**გამოწვევებს, პრობლემებსა და თავსატეხებს რა გამოლევს, მაგრამ თქვენი ყურადღება ამჯერად იმაზე მინდა შევაჩერო, თუ როგორი წარმოდგენა აქვთ საქართველოში მცხოვრებ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს ევროკავშირში გაწევრებაზე. ამის შესახებ მონაცემები გამოქვეყნდა სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობის საბჭოს ერთ-ერთ კრებულში, რომელიც შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგებს ასახავდა.**

გასულ წელს კვლევა ჩაატარა ერთ-ერთმა ორგანიზაციამ ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასების შესახებ, ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონებში: სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და კახეთში. აღმოჩნდა, რომ ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობებზე გაცილებით ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ სხვა



ეროვნების წარმომადგენლებს, ვიდრე ამავე რეგიონში მცხოვრებ ქართველებს. უმცირესობები ამბობენ, რომ არ იციან, რას მოუტანს ქვეყანას ევროკავშირის წევრობა, ან საჭიროა თუ არა ზოგადად ასეთი ორგანიზაციის რიგებში ყოფნა (მართალი გითხრათ, უმცირესობის წარმომადგენლები, სავარაუდოდ, უფრო გულახდილები არიან, ვიდრე ქართველები, რადგან დეტალები და სიღრმეები მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის გაურკვეველია. ვიცით, მხოლოდ მთავრობიდან დაანონსებული კეთილდღეობა, რომელსაც ევროკავშირი გვპირდება, მაგრამ კონკრეტულად როგორ, ბუნდოვანია).

და მაინც...

**უმცირესობის ნახევარმა არ იცის, რომ საქართველო ევროკავშირის წევრი არ არის. საერთოდ, აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის შესახებ გაგონილი ჰქონდა მხოლოდ 7 პროცენტს. კითხვაზე, რამდენად მიზნობრივად იხარჯება ევროკავშირის დაფინანსება საქართველოში, უმცირესობის ნახევარზე მეტმა უპასუხა, რომ არ იცის. ხვალ რომ რეფერენდუმი ტარდებოდეს ევროკავშირში გაერთიანებაზე, ეთნიკური უმცირესობის უმეტესმა ნაწილმა უპასუხა, რომ არ დაუჭერდა მხარს, ან არ იცის, როგორ მოიქცეოდა.**

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ უკიდურესად პოლიტიზებულ საქართველოში, სადაც ყველას თავისი „ობიექტური" აზრი აქვს დიდ პოლიტიკაზე, საქართველოში მცხოვრები სომხებისა და აზერბაიჯანელების 60 პროცენტს საერთოდ არ აინტერესებს ქვეყნის საშინაო პოლიტიკა, კიდევ უფრო მეტს – 63 პროცენტს, არ აინტერესებს საგარეო პოლიტიკა.

ასეთი ინდიფერენტულობა გამოწვეულია ინფორმაციის დეფიციტით, რადგან გამოკითხულთა თითქმის ნახევარი ამბობს, რომ ელემენტარულად ქართული არ იცის და შესაბამისად, ქართული საინფორმაციო საშუალებებით ვერ სარგებლობს. თუ ინტერნეტს ყოველდღიურად ქართველების ერთი მესამედი მაინც იყენებს, უმცირესობის მაჩვენებელი მხოლოდ 12 პროცენტია, ამასთანავე, 61 პროცენტს არასოდეს უსარგებლია ინტერნეტით, ხოლო 8 პროცენტმა არ იცის, რა არის ინტერნეტი.

უმცირესობის წარმომადგენლები ევროკავშირის შესახებ ინფორმაციას იგებენ უცხო ქვეყნის ტელეარხების მეშვეობით, ხოლო საზღვარგარეთის მედია საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების შესახებ განსხვავებულ და ნაკლებ დეტალურ ინფორმაციას გადმოსცემენ...

კვლევამ ცხადად აჩვენა, რომ ეთნიკური უმცირესობების ინფორმირების დონე ქვეყანაში მიმდინარე სხვადასხვა მოვლენის შესახებ ძალიან დაბალია. სახელმწიფო ენის უცოდინრობა კიდევ უფრო აღრმავებს ამ პრობლემას. ზოგადად ეს ხალხი, ანუ ჩვენი თანამოქალაქეები წლების განმავლობაში ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებიან, ამაზე სახალხო დამცველი თავის ანგარიშშიც მიუთითებს. ამაში ომბუდსმენი მედიის ბრალეულობასაც ხედავს და აღნიშნავს: **„ქართული მედია ეროვნული უმცირესობის საკითხს სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის კონტექსტით იშვიათად აშუქებს. აშკარად ჩანს, რომ მედია მხოლოდ მაშინ უთმობს ყურადღებას, როდესაც ადგილი აქვს რაიმე სახის კონფლიქტს, კრიმინალს, სკანდალურ ამბავს, ან მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწის ვიზიტს უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის კუთხით გააზრებული და თანმიმდევრული პოლიტიკა არ იგრძნობა".**

როცა ქვეყნის მოსახლეობის არც თუ უმნიშვნელო ნაწილს არაქართული მოსახლეობა შეადგენს, ამავე დროს სახეზე გვაქვს ორი უმწვავესი კონფლიქტი, თანაც გვესმის მუქარა – ახალი „ნაღმის" ამოქმედებისა სამცხე-ჯავახეთის სახით, მეტი დაფიქრება საჭირო, მეტი სიფრთხილე და გონიერება ეროვნულ უმცირესობასთან დაკავშირებით. კვლევის შედეგები კარგად გვაჩვენებს პრობლემას – რომ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრირების ერთ-ერთი გამოწვევა შიდა ინტეგრაციაა. **ამის იგნორირება კი შეიძლება ძვირად დაუჯდეს ქვეყანას!**

**თეა მოსია**

ალიანჩალიანი

## პოლიციის ახალი შენობა თბილისში

**თბილისში, გამსახურდიას გამზირის №46-ში პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ პოლიციის ახალი ადმინისტრაციული შენობა საზეიმოდ გახსნეს.**

**ღონისძიებას ქალაქ თბილისის მერი დავით ნარმანია, მთავრობის წევრები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ.**

**ოთხსართულიანი თანამედროვე შენობა კონკურსში გამარჯვებული პროექტის (ავტორი - არქიტექტორი ნიკოლოზ წულაია) მიხედვით 6 თვეში აშენდა.**

**შენობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე სამსახურის: თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს, სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოსა და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფები განთავსდება.**

**როგორც პრემიერმა განაცხადა, მიმდებარე ტერიტორიაზე ადრე იყო ძველი და ამორტიზებული შენობა, სადაც მუშაობის განწყობა არავის ჰქონდა. „მიუხედავად იმისა, რომ ასეთ პირობებში უწევდათ ყოფნა, ბიჭები 24 საათის განმავლობაში შრომობდნენ. მინდა, თანამშრომლებს მივულოცო ახალი შენობა. საზოგადოებას კი მინდა, ვუთხრა, რომ სწორედ ამ ადამიანების მუხლჩაუხრელ შრომასა და საქმიანობაზე დგას ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება. მე, როგორც მთავრობის მეთაური, პოლიციას ვუცხადებ მხარდაჭერას და სრულ თანადგომას. ჩვენი პოლიციელები, სპეცსამსახურები არიან ადამიანები, რომლებიც აძლიერებენ ჩვენს ქართულ სახელმწიფოს", – განაცხადა პრემიერმა პოლიციის ახალი ადმინისტრაციული შენობის გახსნის შემდეგ.**

**ინტერპრესი**

არდავიწყება

# ღვაწლმოსილი მეცნიერი – გეოგრაფი



**პროფესორი დავით უკლება – 95**

**95 წელი შესრულდა ღვაწლმოსილი მეცნიერის, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის დავით უკლებას დაბადებიდან.**

პროფ. დ. უკლება 1950 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში, სადაც საფუძველი ჩაუყარა და ხელმძღვანელობდა ლანდშაფტმცოდნეობის ლაბორატორიას, შემდგომ კი ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილებას. მან შექმნა მყარი საფუძველი საქართველოში ლანდშაფტმცოდნეობის დარგის განვითარებისათვის.

საქართველოსა და მისი რეგიონების ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონებისა და შესწავლის საქმეს მიეძღვნა დ. უკლებას ფუნდამენტური ნაშრომები – „აღმოსავლეთ საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონება სოფლის მეურნეობის მიზნებისათვის" და „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი მხარეების ლანდშაფტები და ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონები" (1968 და 1974). აგრეთვე მონოგრაფია „საქართველოს ანთროპოგენური ლანდშაფტები", რომლებშიც ღრმა მეცნიერული ანალიზია მოცემული ადამიანისა და ბუნების ურთიერთზემოქმედების შედეგებზე.

დ. უკლებას მიერ საქართველოსთვის პირველად იქნა განხორციელებული და შედგენილი აღმოსავლეთ საქართველოს ტიპოლოგიური რუკა, რომელიც ზუსტად ასახავს ტერიტორიის ლანდშაფტური დიფერენციაციის სრულ სურათს. მან დაადგინა სხვადასხვა რანგის ანთროპოგენური ლანდშაფტები, რომელთა კლასიფიკაცია და ზოგადი სამეურნეო შეფასება მთიანი ქვეყნებისათვის პირველად შესრულდა საქართველოს მაგალითზე.

დავით უკლებას მეთოდიკით, მისი ხელმძღვანელობით პირველად შეიქმნა საქართველოს ლანდშაფტური რუკა (დოც. მ სანებლიძისა და პროფ. ქრ. ჯაყელის თანაავტორობით) ქართულ და რუსულ ენებზე.

დ. უკლებას ხელმძღვანელობით და მისი უშუალო მონაწილეობით, მის მიერ დამუშავებული ლანდშაფტური კვლევის მეთოდების საფუძველზე, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის წამყვან გეოგრაფთა ერთობლივი მუშაობის შედეგად, შედგა ამიერკავკასიის პირველი საშუალომასშტაბიანი ლანდშაფტური რუკა, რომელიც მოსკოვში გამოიცა 1983 წელს.

დ. უკლება მუშაობდა ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებაში უფროსი სამეცნიერო რედაქტორის თანამდებობაზე, მან დაწერა მრავალი სტატია გეოგრაფიის სხვადასხვა საკითხზე, რედაქცია გაუკეთდა გეოგრაფიულ სტატიებს.

აღსანიშნავია დავით უკლებას პედაგოგიური მოღვაწეობაც. იგი წლების მანძილზე კითხულობდა ლექციების კურსს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

მისი ხელმძღვანელობით არაერთმა მეცნიერმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. იყო მრავალი მეცნიერის სადისერტაციო ნაშრომის ოპონენტი არა მარტო საქართველოში, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში.

დავით უკლება მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა – უცხო ენებიდან გადმოთარგმნა არაერთი გეოგრაფიული სახელმძღვანელო.

მეცნიერმა დიდი ამაგი დასდო სასკოლო გეოგრაფიული სწავლების საქმეს. ის ავტორია 1992 წელს გამოცემული საქართველოს სასწავლო გეოგრაფიული ატლასისა, რომელიც სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდა.

დავით უკლება იყო სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების, საინსტიტუტო შრომების, კრებულების, რამდენიმე ჟურნალის, მათ შორის, განათლების სამინისტროს სამეცნიერო მეთოდიკური ჟურნალის „გეოგრაფიის" შეუცვლელი რედაქტორი.

პირველად მის მიერ ქართულ-რუსულ და რუსულ-ქართულ ენაზე შეიქმნა „გეოგრაფიული ტერმინოლოგია".

დავით უკლებას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაიწყო მუშაობა, „ზოგადგეოგრაფიულ ტერმინთა ენციკლოპედიურ ლექსიკონზე", რომლის შედგენაში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის და ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი, მაღალკვალიფიციური თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ იგი მიმდინარე წელს გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ.

დავით უკლება შეყვანილია ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ 1998 წელს გამოცემულ ცნობარში „მსოფლიოს 5 ათასი ცნობილი პიროვნება".

მეცნიერის ღვაწლი არაერთი ჯილდოთი აღინიშნა, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, იყო საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1994), ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემიის ორგზის ლაურეატი (1987, 1993).

ღვაწლმოსილი მეცნიერის დავით უკლებას შრომები გეოგრაფთა და ბუნების მკვლევართა თაობებს დიდ სამსახურს გაუწევს. მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა, ქართული გეოგრაფიული მეცნიერების საგანძურის მნიშვნელოვანი შენაძენია.

**ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი;**

**ალ. ჯავახიშვილის სახ. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №232

# თბილისში დაბრუნების საიდუმლო

„კვირაძალს საკითხავის" ეს ნომერი უცხოელთა თვალით დანახულ თბილისს და თბილისელებს ეძღვნება. მნიშვნელოვანია, რომ მათი მზერა ოდენ ეგზოტიკურ დეტალებს არ აკვირდება, არამედ ცდილობს იმის მიღმა, საქართველოს და ქართველების ეგზისტენციალური სამყაროსკენაც გაიხედოს.

რაც შეეხება ქართველთა დამოკიდებულებას საკუთარი მიწისადმი, დროთა განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა ისე, როგორც სამშობლოსადმი ფიზიკური და სულიერი მიჯაჭვულობა...

იყო დრო, პოეტი გრიგოლ ორბელიანი წერდა: **„კაცს ყველგან შეუძლია წავიდეს, იაპონიაში, თუნდაც შვეიცარიაში, თუნდ ინგლისში... მაგრამ ცხოვრებით კი მარტო თბილისში უნდა იცხოვროს... აქ მტვერიც დიდია, სიცხეც ძალიანია, ჰაერიც წამხდარია, მაგრამ თბილისში რაღაც სხვა რამ არის"...**

მტვერი, სიცხე და „წამხდარი ჰაერი" კვლავაც აქტუალურია, მაგრამ ის „სხვა რამ" რაც ჩვენს ქალაქს შეუცვლელ ერთადერთობაც აქცევდა, გაქრობის გზაზეა დამდგარი.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოურისადმი განსაკუთრებული პიეტეტი გვახასიათებდა და გვახასიათებს (გავიხსენოთ სიტყვა „საუცხოო"), ჩვენს ქვეყანაში ჩამოსული სტუმრები საუკუნეების მანძილზე, ზღაპრული მოგონებებით ბრუნდებოდნენ უკან. ისინი ყვებოდნენ და წერდნენ აღმოსავლეთის უხვ და ულამაზეს ქალაქზე, რომელთა ბაღებსა და წალკოტებში უმშვენიერესი ვარდები იშლებოდნენ, სადაც „ულამაზესი მამაკაცები და ქალები ცხოვრობდნენ"...

ვინ არ ჩამოსულა თბილისში („ტიფლის – ზაგრანიცა უმა" – აღმოხდა რუს მწერალს ი.ტინიანოვს); რომელი ქვეყნის მცხოვრებთა ფეხთა მტვერი არ დასდებია თბილისის ქვაფენილებს... მდიდარი სოვდაგრები და ვაჭრები, მისიონერები, ბედისგან განწირულნი და აქ გადმოხვეწილნი... ცნობისმოყვარე მოგზაურნი და ავანტიურისტები, დიდებულ მეფეთა ელჩები და დესპანები...

ვინ მოსთვლის რამდენს, ცხოვრების ბოლომდე გულით უტარებია ამ ქალაქის ხსოვნა და სიყვარული, ზღაპრად უამბნია თანამემამულეებისთვის... ზოგსაც შთაბეჭდილება ჩაუწერია და ჩვენთვის სახსოვრად დაუტოვებია...



აბულ ხასიმ იბნ საუკალი – მეათე საუკუნის არაბი გეოგრაფი, სოვდაგარი, პირველი უცხოელია ვისი ჩანაწერებიც თბილისის შესახებ დღემდეა მოღწეული. **„გზათა წიგნი"** ჰქვია მის ვრცელ თხზულებას. ტფილისი – ამბობს ავტორი ბაბელ-აბვაბზე (დღევანდელ დარუბანდზე) უფრო პატარა ქალაქია, მაგრამ ძალიან მომხიბვლავია სიუხვით, სიმდიდრით, კეთილდღეობით. ერთმა კაცმა, რომელმაც აქ თაფლი იყიდა, მითხრა ერთი დირგებით 20 ლიტრზე მეტი ვიყიდეო... ტფილისი ნაყოფიერი ქალაქია, მდიდარი, იაფი სანოვაგით და თავისი კეთილდღეობით სხვა მდიდარ სახელმწიფოებს აღემატებაო...

ეს მეათე საუკუნეში ჩამოსული ჩვენი სტუმარი თბილისის აბანოებსაც გაუოცებია: „აბანოების წყალი უცეცხლოდ დუღსო". თბილისელთა სტუმართმოყვარეობასაც განსაკუთრებით მოუხიბლავს: „მოსახლეობას შორის უცხოელთათვის გაბატონებულია უშიშრობა. ისინი მეგობრულად ეპყრობიან ყველას, მათთან შემთხვევით მისულს".

XIII საუკუნეში ცნობილმა მოგზაურმა, ვენეციელმა მარკო პოლომ მოიარა აღმოსავლეთის ქვეყნები. რატომღაც საქართველოში არ ყოფილა, თბილისიც საკუთარი თვალით არ უნახავს, მაგრამ სხვათა გადმოცემით ასკვნის: „ამ ქვეყანაში ყველა მეფე იბადებოდა არწივის ნიშნით მარჯვენა მხარზე. აქაური მეფენი წარმოსადეგნი არიან, მამაცი მეზღვაურნი, საუცხოო მსროლელნი და გამბედავი მეომარნი ბრძოლაში".

ბევრი რამ სმენია თურმე მარკო პოლოს თბილისის აბრეშუმსა და ოქრომკედზეც: „ბევრი მოდის აბრეშუმი, რითაც ოქრომკედით ნაკეთ ქსოვილებს ამზადებენო".

XV საუკუნის ვენეციელ დიპლომატს კონტალის უკვე მრავალჭირგადატანილი თბილისი უნახავს და დანანებით წერს: „ეს ქალაქი წინათ განთქმული ყოფილა თავისი სილამაზით და ტერიტორიით, თუმცა, ის ადგილები, რომლებიც განადგურებას გადაურჩნენ, ახლა საკმაოდ დასახლებულიაო".

XVII საუკუნის რუსი მოგზაური, სოვდაგარი ვასილ გაგარა თბილისის ციხე-სიმაგრეებს აღწერს და რატომღაც იმპერიულ დაკვირვებას ახდენს: „ამ ციხე-სიმაგრეების ნაღმით აფეთქება შეუძლებელია!" თუმცა, თბილისის აბანოებით აღტაცებას ვერ ფარავს: „ეს თვით უფალი ღმერთის გაჩენილიაო..."

1673 წელს თბილისს ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი ეწვია. მაშინ სამთავროებად დაყოფილი საქართველო სპარსეთის მორჩილებაში იმყოფებოდა. ქალაქს განაგებდა ვახტანგ მეხუთე შაჰნავაზი. იქნებ ამიტომაც „ტფილისი სპარსეთის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქიაო, – გვაუწყებს შარდენი. სახლების უმრავლესობა აგებულია მტკვრის ნაპირზე, პირდაპირ კლდეზე. ქალაქს არტყია მშვენიერი ლამაზი კედლები.

ჟან შარდენის ჩანაწერების მიხედვით, XVII საუკუნის თბილისის შეიძლება აღვადგინოთ. აღწერილი აქვს ქალაქის ციხე, ეკლესიები, ბაზრები, მოედნები, სასახლეები, დუქნები, ბაღები, ქარვასლები, თბილისის ყოფა-ცხოვრება... „ქართველები თავიანთი ხასიათით თავნება და მუდამ რაღაცით გატაცებული ხალხია. მათ გულში ჯერ კიდევ ღვივის თავისუფლების ცეცხლი... სწორედ ამიტომ ვერ ბედავენ, სპარსელები მიმართონ უკიდურეს ზომებს და მათ თავისუფლებას აძლევენ რელიგიის არჩევაში, ყოველგვარი რელიგიული წესის შესრულებაში. მათი ყველა ეკლესიის სამრეკლოზე აღმართულია ჯვარი, კიდია მრავალი ზარი და მათი ხმა ყველგან გაისმის... სხვა ხორცთან ერთად, ყიდიან ღორის ხორცსაც, ხოლო ღვინო ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყიდება".

შარდენი აღტაცებულია ქართველ მეფეთა სასახლის სიმდიდრით, სილამაზით და კეთილდღეობით: „მთავრის სასახლე ერთ-ერთი დამამშვენებელია თბილისისა. მასში დიდი დარბაზებია, რომლებიც მტკვარსა და სასახლის დიდ ბაღებს გადაჰყურებენ.

„ქართველთა ტომი უმშვენიერესია აღმოსავლეთში და შემიძლია ვთქვა მრავალ ქვეყანაზეცო" – დასძენს და შემდეგ და ისევ აგრძელებს შარდენი: „ახლა ნახეთ საჯინიბოები, ფრინველისა და ძაღლების სადგომებიც საუკეთესოა, როგორის ნახვაც კი შეიძლება... საბაზიერონი, საუცხო ბაღები, რომლებიც ჩრდილსა და სიგრილეს იძლევიან. მისივე სიტყვების თანახმად, თბილისი მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. გაოცებულია იმითაც, რომ ტფილისში უცხოელთა იმ გვარის სიჭრელეა, რაც სხვაგან არ უნახავს. საუბრობს ქალაქის მოსახლეობის მრავალფეროვნებაზე.

დიდი პატივით მიუღია შაჰნავაზს სასახლეში ფრანგი მოგზაური, საპატივცემული ნადიმზე მიუწვევია...

* * *

**დრო გადიოდა... თბილისის კარიბჭეს აწყდებოდა მტერიც და მოყვარეც... მოდიოდნენ ზოგნი დროებით და ზოგნიც სამუდამოდ. ის ბევრჯერ გადაწვეს, ბევრჯერაც აღადგინეს. უკანასკნელად – 1990-1991 წლებში... ჩვენი თაობა მოესწრო თბილისელთა ხელით გადამწვარ თბილისს, შემდეგ პოსტსაბჭოთა პერიოდის პირველ წლებში, დიდი მიგრაციის დასაწყისში, თითქმის მილიონმა თბილისელმა დატოვა თავისი ქალაქი... როგორც ამბობდნენ, გაუსაძლისი ცხოვრების გამო...**

„კვირაძალს საკითხავში" დღეს ერთ ქართველ გერმანელს, გნებავთ გერმანელ ქართველს, მიუნხენში დაბადებულ მწერალსა და ფილოსოფოსს ბატონ **გივი მარგველაშვილს** წარმოგიდგენთ, გერმანელი მწერლის **ლოთარ მიულერის** წერილით.

მნიშვნელოვანია, რომ გივი მარგველაშვილი, გერმანიაში ცნობილი, გერმანულენოვანი მწერალი, ისევ აქ, თბილისში დაბრუნდა, რადგან თვლის, რომ სწორედ ჩვენთან თბილისშია ის გარემო, რომელიც მას სასიცოცხლოდ და შემოქმედებისთვის სჭირდება.

ჩვენ ბატონ გივის ჯერ კიდევ ბერლინში შევხვდით.

– რა ამბავია თბილისშიო – მრავალწლიანი განშორების შემდეგ სევდანარევად კითხულობდა ცნობილი, დისიდენტად მონათლული, მწერალი. ის საბჭოთა პერიოდში „ნევიეზდნოედ" ითვლებოდა, ხოლო შემდეგ, როცა მშობლიურ მიუნხენს თუ ბერლინს ეწვია, უსწრაფესად გამოიცა მრავალი წლის მანძილზე „უჯრის პატიმრებად" ქცეული, თბილისში დაწერილი მისი წიგნები.

ოდესღაც უმბერტო ეკომ ემიგრანტებს „მშობლიური სიტყვების სივრციდან განდევნილნი" უწოდა. როგორ გავიგოთ გივი მარგველაშვილთან დაკავშირებული სიტყვათა შეთანხმება „შეტრიალებული ემიგრანტი" და რომელია მისთვის „მშობლიური სიტყვების სივრცე"...

თუ რას ნიშნავს „შეტრიალებული ემიგრანტი" და „თემატური სიკვდილი" ლოთარ მიულერის წერილიდან შევიტყობთ, რომელიც მან გივი მარგველაშვილის წიგნის პრეზენტაციაზე გერმანულენოვანი აუდიტორიის წინაშე წაიკითხა.

(იბეჭდება შემოკლებით)





ლოთარ მიულერი

# შეტრიალებული ემიგრანტი



**„მე წიგნის პერსონაჟი ვარ. ეს იმას ნიშნავს, რომ წიგნში ვცხოვრობ და მხოლოდ წიგნის ორ ყდას შორის გამომწყვდეულს შემიძლია არსებობა. ტელეფონის ნომრის ნაცვლად წიგნის გვერდის ნომერი გამაჩნია“. ასე იწყება გივი მარგველაშვილის რომანი „მუცალი“, რომელიც 1991 წელს გამოსცა გამომცემლობა „ინზელმა“, მაინის ფრანკფურტი-ლაიფციგში.**

ნამდვილად მომხიბლავი აზრი იქნებოდა, მთავარ გმირთან ერთად გავყოლოდით მისი წიგნის გვერდებზე მიმავალ გზას. წიგნის სამყაროში მუცალს ორთაბრძოლა, ნაადრევი სიკვდილი და, შესაბამისად, მხოლოდ ხანმოკლე სიცოცხლე უწერია; კაცი იფიქრებდა, გვერდის ერთ ან ორნიშნა ნომერს არ გადაცდებაო, მაგრამ ის, ვინც ასე იფიქრებს, შეცდება. ჩვენი გმირი 463-ე გვერდამდე აღწევს და თუ იმის ახსნა გვინდა, ეს როგორ ხდება, გვერდს ვერ ავუვლით წიგნის სამყაროთა შესახებ მეცნიერების ზოგიერთი აქსიომის მინიშნებას მაინც, რომლებიც მკითხველთა თავებსა და წიგნის სამყაროს პერსონაჟებს შორის მიმართებას განმარტავს; არც იმ კანონების ხსენება გვაწყენდა, რომელთაც წიგნის კოსმოსში მუცალის სიზმრისეული მოგზაურობა ექვემდებარება და რომელთა თანახმადაც მის სამყაროს წიგნის კამარა შემოსაზღვრავს...

როგორც უკვე ვთქვით, სასიამოვნო იქნებოდა, დღევანდელი საღამო ამ სამყაროში და ამ ცის ქვეშ გაგვეტარებინა, მაგრამ მაშინ შეიძლება ავტორი მხედველობის არედან გამოგვრჩენოდა, ეს კი კარგი არ იქნებოდა, რადგან მისასალმებელ სიტყვაში, თუკი ვინმე უნდა იყოს ყურადღების ცენტრში, ეს სწორედ ავტორია.

ამიტომ სხვანაირად მოვიქცეთ და მუცალს იმ ადგილას დავემშვიდობოთ – წიგნის მე-8 გვერდზე სადაც იგი, ტყვიით განგმირული, მიწაზე ეცემა: **„მიმქრალი მზერით წიგნს და რეალურ სამყაროს ვეღარ აღვიქვამ, თვალთ მიბნელდება და თემატურად ვკვდები. ერთადერთი, რაც იმქვეყნად თან მიმაქვს, რეალური მზით, ან ნათურის ხელოვნური შუქით განათებული მკითხველის ძალზე ბუნდოვანი სახეა, რომელიც გადაშლილ წიგნს უზარმაზარი მთვარესავით დანათის“**. წარმოვიდგინოთ, რომ ეს მკითხველი ჩვენ ვართ. იმიტომ, რომ მუცალს თვალები მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაუქრეს, თუ ჩვენი მკითხველის, თვალები ამას დაინახავს. ხოლო იმ ცის ნაწილი, რომლიდანაც ჩვენ მას დავცქერით, წიგნის სატიტულო გვერდია, რომელზეც ზემოთ წერია: **„გივი მარგველაშვილი“**, ოდნავ ქვემოთ სქლად: **„მუცალი“**, და ქვეშ მინაწერი: **„ქართული რომანი“**. სულ ქვემოთ – მხოლოდ გამომცემლობის დასახელება, სხვა არაფერი. სწორედ ამ არაფრით მინდა, დავიწყო. რადგან ეს ნიშნავს, რომ უდავოდ ქართული გვარის მქონე ავტორის ეს ქართული რომანი არაა ქართულიდან თარგმნილი. იგი გერმანულადაა დაწერილი. ამით ჩვენი წერილის სათაურს მივადექით, რომლის განმარტებაცაა თავად ეს სიტყვა. ეს სათაურია: **„შეტრიალებული ემიგრანტი და მისი ბრიმბორიუმი“**. გივი მარგველაშვილის ნებისმიერი წიგნის სუპერის ჩანაკეცზე ამოვიკითხავთ, რომ იგი 1927 წელს დაიბადა ბერლინში, ქართველ ემიგრანტთა ოჯახში. მისმა მშობლებმა 1921 წელს, საბჭოთა ანექსიის შემდეგ, სტამბულის გავლით დატოვეს თავიანთი სამშობლო. მშობლებისგან განსხვავებით, მათი ვაჟი, ერთი გადამწყვეტი ნიშნის მიხედვით, არ იყო გადასახლებაში მყოფი ქართველი. ვინც ყურადღებით წაიკითხავს „კაპიტანი ვაკუმის“ პირველი ტომის იმ ნაწილს, სადაც ავტორი აღწერს თავის სიყრმეს გერმანიაში, რომელიც 1933 წლიდან ნაციონალ-სოციალისტური გერმანია გახდა. არ გამოეპარება ის ლინგვისტური სადემარკაციო ხაზი, რომელიც ავტორის მშობლების სახლს, ემიგრანტ ოპოზიციონერთა ამ შტაბ-ბინას, ორ ნაწილად ჰყოფს. ვაჟის დედაენა დედამისის ენა კი არა, გერმანულია: როცა მამასთან შეჯახება მოსდის, ერთი-ორი დამახასიათებელი სალანძღავი სიტყვის გარდა, არ ესმის, რას უყვირიან. და თუკი მამას, რომელიც, უმეტესად, ემიგრანტთა წრეში ტრიალებს და სტატიას სტატიაზე წერს ძველი კოლხეთის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, შოთა რუსთაველისა თუ ვეფხისტყაოსნის შესახებ. გერმანული სინტაქსი, თუ გერმანული ლექსიკონი თანდათან სულ უფრო ავიწყდება, შვილის ოთახი გერმანულენოვანი ანკლავია, რომლიდანაც ქართული ჩოხით გამოსვლა კარნავალის დროს თუ შეიძლება გერმანელ თანაკლასელებზე შთაბეჭდილების მოსახდენად, ხოლო თავად ოთახი გამოჭედილია ტარზანით, ბენი გუდმენით და ნათარგმნი ამერიკული წიგნებით.

**„კოლხეთი, იბერია და ალბანეთი ძველი წელთაღრიცხვით I საუკუნეში, სტრაბონის გათვალისწინებით“** – ესაა მამის სადისერტაციო ნაშრომის სათაური, რომელიც მან ჰალევიტენბერგის ფრიდრიჰის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე წარადგინა 1914 წელს. მამისეული საქართველოს და მისი მომცველი ანტიკური სამყაროს შესახებ შვილი მამის დისერტაციაში და სხვა ნაშრომებში გერმანულად კითხულობს; ამ ძველი სამყაროს შორეული ექო ფონად გასდევს „კაპიტან ვაკუშის“ ორ ძალიან ლამაზ თავს, სადაც აღწერილია, როგორ შეუერთდა ვაჟი „Swing jugend“-ს შუაგულ ნაციონალ-სოციალისტურ ბერლინში.

მწერალი გივი მარგველაშვილი მამამისის შებრუნებული პერსონაჟია. ამ ამბავს იგი „კაპიტანი ვაკუშის“ მეორე ტომში აღწერს. იმას, რასაც ის მოგვითხრობს, გადაუჭარბებლად შეიძლება ცხოვრებისეული კატასტროფა ეწოდოს. ომი დამთავრდა. ვაჟი ამერიკელთა შტაბში მიდის, რათა მათ თავისი სამსახური შესთავაზოს; მაგრამ 1946 წელს მას მამასთან ერთად საბჭოთა საიდუმლო სამსახური, □□□□ იტაცებს და ბერლინის აღმოსავლეთ სექტორში გადაჰყავს. მამას იგი დაკითხვის შემდეგ ვეღარ ნახავს. მას დახვრეტენ, შვილი კი იძულებით გადაჰყავთ საქართველოში. რომანის იმ პასაჟებში, სადაც ეს ამბავია მოყოლილი, საკვანძო სიტყვაა „შეტრიალებული ემიგრაცია“. პოლიტიკური თვალსაზრისით, გმირი სტალინური საბჭოთა კავშირის პროვინციაში ხვდება; ენობრივი თვალსაზრისით – მამის სამყაროში, რომლის ენასაც მხოლოდ არასრულყოფილად ფლობს და რომელშიც მის დედაენას, გერმანულს, გადაგვარება ემუქრება. საფრთხე, რომლის წინაშეც კაპიტანი ვაკუში შეტრიალებული ემიგრაციის გამო დგება, ერთი ცნებით აღიწერება: ენის დაკარგვა: **„რადგან Homo sapiens-ის ცხოვრება, ძირითადად, საკუთარი თავის გამოხატვაში მდგომარეობს, ამ მხრივ ყველაზე ცუდ მდგომარეობაში შეტრიალებული ემიგრანტია, დედაენადაკარგული, ყველა სახლიდან აბსოლუტურ უსიტყვობაში გამოსროლილი კაპიტანი“**.

მწერალ გივი მარგველაშვილის დაბადებისას ვარსკვლავები ისე განლაგდა, რომ მან, როგორც გერმანულენოვანმა ავტორმა, საბჭოთა კავშირში ენის დაკარგვის საშიშროებას, მართალია, თავი დააღწია, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში საზოგადოებისთვის, როგორც მწერალი, უცნობი რჩებოდა. „შეტრიალებული ემიგრაციის“ ერთ-ერთი თვისება ის იყო, რომ მის შესახებ რაიმეს გამოქვეყნება წარმოუდგენელი იყო. მარგველაშვილი მხოლოდ „უჯრისთვის“ წერდა. ამას, ერთი მხრივ, ის შედეგი მოჰყვა, რომ 1989-90 წლებში, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა და მარგველაშვილი ბერლინში დაბრუნდა, მისი რამდენიმე წიგნი ერთი მეორეს მიყოლებით ერთბაშად გამოიცა. მაგრამ ამავე დროს, მის შემოქმედებაში გაჩნდა შტრიხი, რომელიც მას დღემდე თან სდევს: **ხელნაწერსა და დაბეჭდილ წიგნს შორის არსებული ზღურბლის ძალიან მძაფრი შეგრძნება.** ეს შეგრძნება გაცილებით მეტია, ვიდრე ყველასთვის ცნობილი აზრი, რომ ლიტერატურა, თუკი მას სერიოზულად ვეკიდებით, ხელნაწერის დონეზე არ უნდა გაჩერდეს. მას თან ახლავს იმის შიში, რომ ლიტერატურა, თუნდაც მოახერხოს და პუბლიკაციის ზღურბლს გადააბიჯოს, შეიძლება ყოველ წამს ისევ დაუბეჭდავი მდგომარეობის განსაწმენდელში ჩაიძიროს, – რაგინდ მყარიც არ უნდა იყოს მისი ყდა და რაგინდ დახვეწილი – მისი ასოების ანაწყობი. მკითხველის თავის გარეშე, რომელმაც როგორც დასაწყისში ვნახეთ, მომაკვდავი მუცალი მკვდრეთით აღადგინა, ამ მთვარის გარეშე, რომელიც გაშლილ წიგნს დასცქერის, მასში ყველა პერსონაჟი აჩრდილად იქცევა და ლიტერატურული საშუალებებით მასში შექმნილი სამყარო დაჭკნება და გაუდაბურდება. გივი მარგველაშვილის შემოქმედებას სამყაროს დაკარგვის ეს საშიშროება ისეთივე დამღად ატყვია, როგორც ენის დაკარგვისა. მკითხველი მისი დღესასწაულიცაა და საზრუნავიც. მკითხველი, რომელიც წიგნში იხედება და მას აცოცხლებს და მკითხველი, რომელიც წიგნს მიატოვებს და ამით ისევ დაუბეჭდავობის განსაწმენდელში დაბრუნებით ემუქრება – ეს ორი ფიგურა ცენტრალურია მის შემოქმედებაში. თავის წიგნში „კანტაქტი“, რომელიც 2009 წელს გამოვიდა, ქვესათაურით „ქალაქის მწერლის კითხვით-ცხოვრებისეული გამოცდილებიდან“ ვამბობთ რომ ეს ნაწარმოები თავის დაბადებას გივი მარგველაშვილის რაინსბერგში ქალაქის მწერლად ყოფნას უმადლის და მარგველაშვილი მასში თვითონაა ის მკითხველი,რომლის თავიც წიგნის გადაშლილ გვერდებს დასცქერის. იგი არა მხოლოდ დასცქერის **ტუხოლსკის წარმატებულ წიგნს „რაინსერგი. სურათებიანი წიგნი შეყვარებულთათვის“**, არამედ კონტაქტში შედის პროტაგონისტებთან – კლერთან და ვოლფგანგთან, მათთან ერთად იკვლევს ფრიდრიჰ დიდის ძმის, პრინც ჰაინრიჰის სამყაროს, ერთმანეთში ურევს მკითხველის და ქალაქის მწერლის როლს და ცხოვრებას. მაგრამ საქმე ამით არ მთავრდება. წიგნში კაპიტან ვაკუშის აჩრდილიც დაიარება, იმიტომ, რომ „უჯრის“ ხელნაწერიდან გერმანიაში გამოცემულ წიგნად გადაქცევის შემდეგ, მას ისე კარგად არ წაუვიდა საქმე, როგორც იმედოვნებდა. გულწრფელად რომ ვთქვათ, ცუდი არ იქნებოდა, ამ წიგნს მეტი მკითხველი ჰყოლოდა, რომლებიც კაპიტან ვაკუშს, რომელიც გივი მარგველაშვილის საკუთარი ისტორიაა, ისევე დამაჯერებლად გააცოცხლებდნენ, როგორც რაინსბერგის ქალაქის მწერალი ტუხოლსკის „რაინსბერგის“ პერსონაჟებს.

კაპიტან ვაკუშის და მისი ცხოვრების იმ აღწერიდან, რომელიც მე წარმოგიდგინეთ, მსმენელს შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, თითქოს მასზე დაწერილ ორივე წიგნში გერმანიაში გატარებული სიყრმის და 1945 წლის შემდეგ შეტრიალებული ემიგრაციის ამბავი ჩვეულებრივი ისტორიის ენითაა მოყოლილი, მაგრამ საკმარისია, ორივე წიგნის ქვესათაურს დავხედოთ, რათა მივხვდეთ, რომ ეს ასე არაა: „In Deuxiland და Sachsenhauschen“. – 1927-1947 წლების გერმანიის შესახებ დაწერილი ისტორიული მოთხრობებისთვის ასეთი სათაურები შეუსაბამოა, თითქოს ვიღაცამ საბავშვო ოთახში უწესრიგოდ მიმობნეული სიტყვებისგან შეაწებაო. მაგრამ ეს სათაურები მარგველაშვილმა თავისი ბერლინური ბინის საბავშვო ოთახში კი არა, თბილისში, თავის სამუშაო ოთახში იპოვნა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, საბჭოთა კავშირში გერმანულ ენაზე მწერალი ავტორის საწერი მაგიდის უჯრაში. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქმის მან თავისი, საბჭოთა კავშირის მიმართ არცთუ მთლად კეთილგანწყობილი, ბიოგრაფია დაშიფრა, რათა რუსი ან ქართველი ცენზორის თვალებს გერმანულ ტექსტში ისტორიული პროტაგონისტების სახელები მაშინვე არ ამოეცნო. თავის წიგნში „კანტაქტი“ მარგველაშვილმა თავად განმარტა ეს პროცედურა „კაპიტან ვაკუშის“ იმ პასაჟის თვით კომენტარში, რომელიც ბერლინის საბჭოთა სექტორის სამხედრო ციხის დაკითხვების საკანში მამასთან ერთად გატარებულ უკანასკნელ ღამეს ეძღვნება. იგი განმარტავს, რატომ ქვია „კაპიტან ვაკუმში“ საქართველოს Kolchis („კოლხისი“), ხოლო საბჭოთა რუსეთს – Kolchos (კოლხოზი“), რომ ახალგაზრდობის საყვარელი მუსიკის, ჯაზის პატივსაცემად, დასავლეთის ქვეყნებს „Dixicielander“ ქვია, ხოლო დოიჩლანდს, შესაბამისად, „დოიქსილენდი“ რომ სახლის მამას მამასახლისი ჰქვია, რომ მამასახლისიმუსი სტალინია, ხოლო ექსმამასახლისიმუსი – გერმანიაში ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე, ანუ კაპიტანის მამა, თავად კაპიტანს კი კაპიტანი იმიტომ დაარქვა, **„რომ მაშინ გაჯაზებული ახალგაზრდების პატარა ჯგუფის თავკაცად მომქონდა თავი, ხოლო ეს სიტყვა caput-იადან** (ლათინურად „თავი“) **მოდის და, შესაბამისად იუმორისტულად ავსებს და ამავე დროს უპირისპირდება ტერმინებს „მამასახლისიმუსი“ და „ექსმამასახლისიმუსი“**. წიგნში არის ქვეყნები და ენები, თავიანთი მკვიდრი მოსახლეობით, იდეოლოგიებითა და ცხოვრების სტილით, ხოლო Wartburg-ები ემიგრანტთა საცხოვრებლებია. არც პირველთა, არც მეორეთა კანონებისთვის თავის დაღწევა მათი მაცხოვრებლებისთვის ადვილი არაა: **„ვინც დიდხანს იცხოვრა Wartburg-ში ან იქ დაიბადა, სახლს კარგად ვეღარასოდეს მოერგება და პირიქით“**.

ნეტავი ამ „სიმბოლურ ბრიმბორიუმზე“ უარის თქმით, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აუცილებელი ისედაც აღარ იყო, „კაპიტანი ვაკუმში“ გერმანულ საზოგადოებაში მეტ მკითხველს თუ მოიზიდავდაო, – ეკითხება თავის თავს გივი მარგველაშვილი თავის წიგნში „კანტაქტი“. ნეტავი ამით თუ შეიძლებოდა მკითხველთა ქრობის შეჩერება, რომელშიც კაპიტან ვაკუშის სამყაროს განადგურებით ემუქრება და რომლის წინააღმდეგაც დაწერა გივი მარგველაშვილმა ახლახანს გამოქვეყნებული „გაქცევის ესთეტიკის ნოველა“! პასუხს იძლევა წიგნის ერთ-ერთი თავი, რომელიც უარყოფილია კოდირების თეორია. ავტორი თვლის, რომ ქვეყნების, ისტორიული ფიგურების და ადგილების სახელებით თამაში არა დროითი ისტორიის კოდორების,არამედ პირიქით, კაპიტან ვაკუშის მსოფლხედვის დეკოდირების საშუალებაა, რომელსაც დასავლეთი იმიტომ იზიდავს, რომ ის მისთვის დიქსილენდის ქვეყანაა და რომელსაც ისეთ გერმანიაში უნდა ცხოვრება, რომელსაც სახელი „დოიქსილენდი“ მოუხდებოდა. თუკი ვინმეს აინტერესებს, რამდენად აქტუალურია ახალგაზრდა კაპიტან ვაკუშის მსოფლხედვა უკვე ხნიერი გივი მარგველაშვილისთვის, ვურჩევთ, წაიკითხოს 2010 წელს დაწერილი მისი პატარა ნაწარმოები **„კედლის გაზეთის გაოცებული მკითხველი“**, სადაც იგი არა მარტო თანამედროვე ბერლინის გრაფიტის ტექსტებს არჩევს და კომენტარს უკეთებს, არამედ ერთ-ერთი გრაფიტის ტექსტთან დაკავშირებით („მხოლოდ მუსიკა გვიშველის“) საბჭოთა კავშირის დანგრევაში როკის, პოპის და ჯაზის როლზე საუბრობს.

დავუბრუნდეთ პირად ლექსიკონს, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია გივი მარგველაშვილის შემოქმედებისთვის. საქმე ისაა, რომ, როცა იმის მაგალითები მოგვყავდა, თუ როგორ ახდენს იგი ენობრივი თამაშის მეშვეობით ისტორიის გარდაქმნას, ამით მისი ენის მხოლოდ ერთ ფენას შევეხეთ, მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ფენა სათავეს მეოცე საუკუნის ფილოსოფიურ ვოკაბულარში, ნიკოლაი ჰარტმანის, ედმუნდ ჰუსერლის ან მარტინ ჰაიდეგერის შრომებში იღებს, სადაც ქვეყნად არსებობის, და ზოგადად არსებობის შესაძლებლობები ფაქიზი ონტოლოგიური განსხვავების მეშვეობითაა გახსნილი.

ცნებათა ამ რეზერვუარიდან საზრდოობს მარგველაშვილი, როცა თავის ნაწერებში ისევ და ისევ „ადამიანის ონტოტექსტუალურ კონსტიტუციას“ დასტრიალებს და მის „ონტოკონტექსტოლოგიურ“ განმარტებას ცდილობს. ფილოსოფიურ ტერმინებს იგი ისევე ხმარობს ენობრივი თამაშის მასალად, როგორც ისტორიულ ვნებებსა და სახელებს.

ჩანართზე მუშაობდნენ
ნინო ხოფერია და კახა ქორიძე

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# უკრაინის შანსები ნატოში და საქართველო

**რაში ვერ დაარწმუნა ამერიკის ელჩმა ნატოს პარტნიორები 2008 წლის აგვისტოში? რატომ ამოიღეს „უკრაინის თავისუფლების მხარდამჭერი აქტიდან“ აბზაცი, რომელიც უკრაინას, საქართველოს და მოლდოვას ამერიკის ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის (MNNA) სტატუსს ანიჭებდა?**

**კურტ ვოლკერი ნატოში შეერთებული შტატების ელჩად რამდენიმე დღის დანიშნული იყო, როცა 2008 წლის აგვისტოს ომი დაიწყო. ამჟამად მაკეინის ინსტიტუტის პრეზიდენტი „ამერიკის ხმასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში უკრაინის მიერ ნატოსკენ გადადგმულ ნაბიჯებს აფასებს და საუბარში პარალელებს საქართველოსთანაც ავლებს.**

უკრაინამ 23 დეკემბერს ნაბიჯი ნატოში გაწევრების მიმართულებით გადგა. პარლამენტმა გააუქმა კანონი კიევის ნეიტრალური, ბლოკგარეშე ქვეყნის სტატუსის შესახებ, რომელიც 2010 წელს რუსეთის ზეწოლით დამტკიცდა. უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო აცხადებს, რომ ის ქვეყნის ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრებას შეეცდება.



**კურტ ვოლკერი უკრაინის მიერ გადადგმული ამ ნაბიჯის მნიშვნელობაზე საუბრობს და ამბობს, რომ მას უფრო განმარტებითი ხასიათი აქვს და უშუალო გავლენას ევროპის უსაფრთხოების ლანდშაფტზე ჯერჯერობით ვერ მოახდენს. კიევმა კიდევ ერთხელ დააზუსტა, რომ „უკრაინელებს საკუთარი ხედვა აქვთ; მათ შეუძლიათ არჩევანის გაკეთება და მათ აქვთ სურვილი „გამოხატონ ის... ჩვენ ყველა ვალდებული ვართ, მათ მოვუსმინოთ და გავიგოთ, რომ ის, რაც უკრაინას რუსეთის ხელით დაემართა, ვგულისხმობ თავდასხმას, ანექსიას და ოკუპაციას, ეს უკრაინის სურვილით და ნებით არ მომხდარა“,** — აღნიშნავს ვოლკერი.

მისი თქმით, ბუნებრივია, რომ ქვეყანა, რომლის ტერიტორიის ერთი ნაწილი ხელყოფილი და ოკუპირებულია, ნაწილი კი მიტაცებული, თავდაცვით ალიანსში შესვლას ცდილობს, რათა საკუთარი ტერიტორია, სუვერენიტეტი და ხალხი დაიცვას. 303 ხმა 8-ის წინააღმდეგ ძალზე „შთამბეჭდავი პასუხია რუსეთის მცდელობაზე, თავს მოახვიოს უკრაინას საკუთარი ნება“. თუმცა, ამერიკის ყოფილი ელჩი ნატოში იმასაც ამბობს, რომ ჯერჯერობით ვერავინ იტყვის, რომ უკრაინა ნატოში გაწევრებისთვის მზადაა.

**„იმისათვის, რომ ქვეყანა ნატოში მართლაც გაწევრდეს, აუცილებელია თვითონ ნატოს წევრი ქვეყნების კონსენსუსიც მისი მოწვევის შესახებ. ამასთან ქვეყანა უნდა აკმაყოფილებდეს წევრობის იმ სტანდარტებს, რომელიც დიდი ხნის წინათ არის დამკვიდრებული, როცა ესა თუ ის სახელმწიფო გაწევრდა. მათ შორის არის: დემოკრატია, საბაზრო ეკონომიკა, უსაფრთხოების ძალების ფუნქციონალური თავსებადობა, არმიის სამოქალაქო კონტროლი, მეზობლებთან კარგი ურთიერთობა, ზოგადად ევროპის უსაფრთხოებაში შეტანილი წვლილი და ასე შემდეგ... თუმცა, იანუკოვიჩის დროს რუსეთის ზეწოლით მიღებული ბლოკგარეშე სტატუსის მოხსნა, თავისთავად, სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია. ეს არის სიგნალი, რომელიც ადასტურებს უკრაინელი ხალხის ნებას, რომელსაც სურს, რომ ევროპის ნაწილი რეალურად გახდეს“.**

უკრაინის პარლამენტის გადაწყვეტილებამდე რამდენიმე დღით ადრე ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტ ობამას ხელმოწერით კანონის ძალა მიიღო „უკრაინის თავისუფლების მხარდამჭერმა აქტმა“. ხელმოწერამდე კანონპროექტიდან ამოიღეს აბზაცი, რომელიც უკრაინას, საქართველოს და მოლდოვას ამერიკის ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის (MNNA) სტატუსს ანიჭებდა. ვოლკერი ამ ნაბიჯის გამომწვევ მიზეზზეც საუბრობს და ამბობს, რომ ძალზე სამწუხაროა, რომ ევროპაში და ამერიკაშიც „არის ხალხი, ვისაც სჯერა, რომ ის ქვეყნები, რომლებიც საკუთარ არჩევანს აკეთებენ უსაფრთხოების ურთიერთობებთან დაკავშირებით, როგორღაც რუსეთის პროვოცირებას ახდენენ“. ამგვარ არგუმენტირებას ამერიკის ყოფილი ელჩი ნატოში „აბსოლუტურად მიუღებლად“ მიიჩნევს.

**„ისინი ამტკიცებენ, რომ ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსის მინიჭება თავისთავად რუსეთის პროვოცირება იქნება, რამაც შესაძლოა რუსეთის მხრიდან შესაბამისი რეაქცია გამოიწვიოს. მაგალითად, თავს დაესხას ამ ქვეყნებს, რაც ჩვენს ინტერესებში არ შედის. ამიტომ, რუსეთთან მშვიდი ურთიერთობის შესანარჩუნებლად ამგვარი ლექსიკისთვის თავის არიდება ამის ერთ-ერთი მიზეზი უნდა იყოს... ისეთი ხალხიც არსებობს, ვინც ამტკიცებს, რომ ამ ქვეყნების მხრიდან თავდაცვის მცდელობაც კი რუსეთის პროვოცირების საბაბია. ისევე როგორც საქართველო ცდილობდა თავის დაცვას 2008 წელს, როცა მასზე იერიში რუსეთმა მიიტანა“,** — ამბობს ის.

აქედან გამომდინარე, ჩრდილო-ატლანტიკური ბლოკის „სურვილია, თავი აარიდოს იმ არასწორი იმედის გაჩენას, თითქოს რუსეთის თავდასხმის შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატები, ან ევროპა ამ ქვეყნების დასაცავად გაეშურება“. ვოლკერი ასეთ არგუმენტაციასაც არასწორად და „საკმაოდ შეცდომაში შემყვან მტკიცებად“ მიიჩნევს, თუმცა, ამის მიუხედავად ამბობს, რომ ეს გავრცელებული აზრია.

„ამერიკის ხმა“ დაინტერესდა, თუ რა რეაქცია ჰქონდათ უშუალოდ ნატოს ელჩებს 2008 წლის აგვისტოში, როცა რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე ღიად შეიჭრა. ამასთან, სამხრეთ ოსეთში განვითარებული საომარი ქმედებების ფონზე რა იყო ამერიკის ელჩისთვის ყველაზე დიდი გამოწვევა?

**„ყველაზე დიდი გამოწვევა, მაქსიმალური გულწრფელობით გეტყვით, იყო ის, რომ კონსენსუსის აუცილებლობიდან გამომდინარე, უნდა როგორმე დაგვერწმუნებინა ნატოს დანარჩენი მოკავშირეებიც, რომ ეს ყოველივე ნატოს პრობლემა იყო... რუსეთი როცა საქართველოში შეიჭრა, ეს ნატოში ჩემი სამსახურის ერთ-ერთი პირველი დღე იყო. მე შევთავაზე ალიანსს, განცხადება გაეკეთებინა. ეს უნდა ყოფილიყო ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს განცხადება, რომელიც ამბობს, რომ ჩვენ სასწრაფოდ გვჭირდება შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ; რომ ორივე მხარემ უკან დაიხიოს იმ პოზიციებზე, რომელსაც ისინი 6 აგვისტოს იკავებდნენ და რომ კრიზისის გადაწყვეტისთვის სასწრაფოდ უნდა იქნას მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც ევროკავშირის ლიდერების მცდელობასთან თანხმობაშია. ვერაფრით მივაღწიე თანხმობას ნატოს დანარჩენი მოკავშირეებისგან თუნდაც ამგვარი ერთობლივი განცხადების გაკეთებაზე. მოისმენდით ასეთ აზრებსაც: „ჩვენ არ გვსურს სიტუაციის მილიტარიზება“. და ეს მაშინ, როცა რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე უკვე სამხედრო ძალას იყენებდა. ასეთ დროს ჩვენი განცხადების სიტყვები თურმე მილიტარიზების ნიშანი იქნებოდა...“,** — იგონებს კურტ ვოლკერი.

მისი აზრით, ზოგადად, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ბევრად უფრო დიდი პრობლემაა ის, რომ ევროპელი პარტნიორების დიდი ნაწილი ნატოს აღიქვამს, როგორც მხოლოდ სამხედრო ბლოკს. მათი მხრიდან ერთიანი პოლიტიკური ქმედების საჭიროების უგულებელყოფა ხდება. ვოლკერის თქმით, ასევე ხდება იმ ნიუანსების იგნორირება, რომელიც კოლექტიურ თავდაცვას და ევროპის უსაფრთხოების დაწინაურებას შორის უნდა არსებობდეს.

რაც შეეხება შემდგომში მოსკოვიდან მომავალ საფრთხეს და უახლოეს მომავალში კრემლის სავარაუდო აგრესიას, ვოლკერი მოვლენების განვითარების შესაძლებლობის მთელ სპექტრზე საუბრობს. მისი თქმით, რუსეთი უკრაინაში ქმედებას ალბათ ისევ გააგრძელებს, მით უმეტეს, პარლამენტში მიღებული გადაწყვეტილების პასუხად. უფრო შორსაც წავა და სავარაუდოდ იმ სახმელეთო ნაწილის დასაკუთრებას შეეცდება, რომელიც ყირიმს აღმოსავლეთ უკრაინასთან აკავშირებს, მათ შორის, მარიუპოლისაც. ამას გარდა, შეიძლება მოლდოვაში, დნესტრისპირეთშიც იმოქმედოს, რომელიც უკვე ოკუპირებულია, მაგრამ ანექსირებული — ჯერ არა.

**„შავი ზღვისკენ დნესტრისპირეთს და ყირიმს შორის არსებული სივრცითაც შეიძლება დაინტერესდეს და ამ მიმართულებით წავიდეს. უკვე ვნახეთ დუმაში აფხაზეთთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები. არც აფხაზეთის ანექსიაა გამორიცხული. შეიძლება სამხრეთ ოსეთი მიიერთოს და ჩრდილოეთ ოსეთთან ერთად ის რუსეთის ფედერაციის ფარგლებში მოაქციოს“,** — ამბობს ვოლკერი.

ის სკეპტიკურად უყურებს ბალტიისპირეთის საზღვარზე სამხედრო ძალის გამოყენებით შეჭრის ალბათობას, რადგან მისი აზრით, ამგვარი ნაბიჯი დანამდვილებით გამოიწვევს ნატოს საპასუხო რეაქციას. **„პუტინი კი ისეთ ქმედებას ამჯობინებს, რომელსაც უფრო შეფარული მეთოდებით მოქმედება სჭირდება. როგორიცაა მაგალითად, დაზვერვის ოფიცრების, ან საგანგებო ძალების საშუალებით უწესრიგობების, საპროტესტო აქციების მხარდაჭერა, ეთნიკურ რუსებში პროპაგანდის გაძლიერება და მათი გამოწვევა და შემდეგ შეხედვა, თუ როგორ მოიქცევა მაგალითად ლატვია, ან ლიტვა. ამასობაში დააკვირდება ნატოს, თუ რას მოიმოქმედებს ალიანსი და ამის შესაბამისად საბოლოო მიზნების ადაპტირებას მოახდენს“,** — აცხადებს ამერიკის ყოფილი ელჩი ნატოში.

**მაია ქვარცხავა,**
რადიო „თავისუფლება“

## დედამიწის ზურგზე



### ყაზახეთში მკაცრი ექსპერიმენტი გაიმეორეს გასაყინად განწირული ბავშვისთვის

ბავშვი დიდი ხნით დატოვეს მჯდომარე ალმატის ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი რაიონის ავტობუსის გაჩერებაზე, იგი იყო ზედა ტანსაცმლის გარეშე, რათა გამოერკვიათ, თუ რა რეაგირებას მოახდენდნენ ამაზე მიმავალი ადამიანები. თანაგრძნობის დონის ამგვარი გაზომვის ანალოგიური ხერხი გამოიყენეს ნორვეგიასა და რუსეთშიც.

### მერკელი, რომელმაც გარისკა, ეწარმოებინა მოლაპარაკება პუტინთან პირისპირ სასტუმროს ნომერში, „დი ტაიმსის“ ვერსიით წლის ადამიანი გახდა

ბრიტანეთის გაზეთმა მაღალი შეფასება მისცა გერმანიის კანცლერის როლს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დიალოგის აგებაში იმ მომენტში, როდესაც გეოპოლიტიკურმა კრიზისმა ცივი ომის შემდეგ ყველაზე სახიფათო წერტილს მიაღწია.



### მსოფლიო იხსენებს 2004 წლის კატასტროფული ცუნამის მსხვერპლს

ზუსტად ათი წლის წინათ ინდოეთის ოკეანეში სუმატრის სანაპიროზე მიწისძვრის შემდეგ წარმოიქმნა 30-მეტრიანი ტალღები, რომლებიც თავს დაატყდნენ ინდონეზიის, ტაილანდის, ინდოეთისა და შრი-ლანკის სანაპიროებს. ცუნამმა 300 ათასი კაცის სიცოცხლე შეიწირა და გამოიწვია კოლოსალური ნგრევები.

### ბრიტანელთა უმრავლესობამ პირველად გამოთქვა აზრი ქვეყნის ევროკავშირიდან გამოსვლის მხარდასაჭერად

ამან დიდი ბრიტანეთი გახადა დასავლეთ ევროპაში ჯერჯერობით პირველი და ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც სურს, დატოვოს ევროკავშირი. გამოკითხვამ, რომელიც 12 ქვეყანაში მოეწყო, აჩვენა, რომ განსაკუთრებით ძლიერ სურს, დარჩნენ ევროკავშირში საბერძნეთის მოსახლეობას.



# აქ მეზობლებთან ერთად უნდა ვჭედოთ ჩვენი აწმყო და მომავალი

**იწყება ახალი ციკლი საქართველოს ევროკავშირში გაწევრებასთან დაკავშირებით. როგორც იქნა, საქართველოს ეღირსა ევროკავშირის ასოცირებული წევრობა.**

**ამ მოვლენას დადებითად აფასებენ როგორც „ოცნებელები", ისე „ნაციონალები", სხვებიც, ვინც პარლამენტგარეთ „მოღვაწეობენ". პარლამენტში მყოფი პარტიები ასოცირებულ წევრად გახდომას საკუთარ შრომასა და მარიფათს უკავშირებენ და იშვიათად იხსენებენ ბრიუსელს, რომელმაც შვა „აღმოსავლეთის პარტნიორობის" პროექტი.**

პროექტის ერთ–ერთი მთავარი ავტორი პოლონეთი იყო. პროექტის მიზანი – მარტივი და გამჭვირვალეა – რუსეთის ორბიტიდან ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების გამოყვანა და მათი ევროკავშირზე მიბმა. „აღმოსავლეთის პარტნიორობაში" შევიდნენ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა უკრაინა, მოლდოვა, საქართველო.

ევროკავშირის სურვილი იყო ასოცირებულ წევრებად სომხეთისა და აზერბაიჯანის ხილვაც, მაგრამ მათ შორის დაიჭირეს. სომხეთმა კი ევროპასთან ასოცირებულ წევრობას, ევრაზიის კავშირის წევრობა ამჯობინა. განზე დარჩა ბელორუსი, რომლის ხელისუფლებასთან ევროკავშირს რთული ურთიერთობები აქვს.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის" იდეის ავტორების მთავარი მიზანი ზემოთ აღვნიშნეთ – რუსეთის გავლენისგან პარტნიორი ქვეყნების გამოყვანა. „აღმოსავლეთის პარტნიორობა" მიზნად იმასაც ისახავს, რასაც თავისუფალი ვაჭრობა ჰქვია. თუ რას ნიშნავს ეს, „კარგად" განმარტა ევროკავშირის ყოფილმა შეფმა ბაროზუმ თბილისში ყოფნის დროს – პატარა საქართველოს შესაძლებლობა ექნება ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გაიტანოს თავისი საქონელი 500–მილიონიან ევროპულ ბაზარზე. საქართველოს მოსახლეობას უჩნდება შანსი უვიზოდ იმოგზაუროს ევროპის ქვეყნებში, ევროკავშირს უჩნდება შესაძლებლობა უპრობლემოდ შემოიტანოს საქართველოში საკუთარი საქონელი, განახორციელოს ინვესტიცია და სხვა.

ასოცირებულ წევრად ყოფნის პერიოდში საქართველომ საკუთარი კანონმდებლობა უნდა მიუსადაგოს ევროკავშირის კანონებს და ამ გზაზე უყოყმანოდ უნდა გაიზიაროს ევროკავშირელი ექსპერტების რეკომენდაციები, წინააღმდეგ შემთხვევაში სანუკვარი ოცნება – ევროკავშირის წევრობა, ოცნებად დარჩება. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ასოცირების დოკუმენტში ნახსენები არ არის შეუშვებენ თუ არა საქართველოს ევროპულ „სამოთხეში" ყველა რეკომენდაციის მიღების შემდეგ.

ერთი სიტყვით, ასოცირებულმა წევრებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ ბრიუსელის მოსახიბლად. მოიხიბლება თუ არა ის, მასზეა დამოკიდებული. თურქეთის მწარე მაგალითიდან გამომდინარე, ნახევარი საუკუნეა ბრიუსელი ვერ ან არ იხიბლება და არის ევროკავშირის ასოცირებული წევრის სტატუსით 80–მილიონიანი ქვეყანა – ეკონომიკური მაჩვენებლების თვალსაზრისით, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ოცეულში შემავალი. აღარ ვამბობ აფრიკის კონტინენტის ჩრდილოეთში მდებარე ქვეყნებზე, რახანია ევროკავშირთან ასოცირებულებზე.

საქართველომ გადადგა ნაბიჯი, რომლის სამომავლო წარმატებებზე მსჯელობა უფრო ვირტუალურია, ვიდრე რეალური. დავიწყოთ იმით – რას შეიტანს საქართველო ევროპის ბაზარზე გასაყიდად. ჯერჯერობით ასეთი პროდუქტი, გარდა ღვინისა და მინერალური წყლისა, საქართველოში არ იწარმოება. უფრო სწორად, იწარმოება, მაგრამ ხარისხი დაბალია და ევროპის ბაზარზე არ გაიტანება.

თვით ღვინოსა და მინერალურ წყლებსაც პრობლემები შეექმნებათ, ვინაიდან ესპანური, პორტუგალიური, გერმანული, იტალიური, ფრანგული ღვინოებით გაჯერებულ ევროპულ ბაზარზე ფეხის მოკიდება უდიდეს პრობლემებს უკავშირდება. ვიდრე ქართული ღვინო ან მინერალური წყალი ფეხს მოიკიდებს ევროკავშირის ბაზარზე, მილიონობით ევროს გადახდა იქნება საჭირო შესაბამისი რეკლამისთვის.

საქართველოს სხვაც აქვს ევროპაში გასატანი, მაგრამ არცთუ ბევრი და შემოსავლის მომტანი. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა პერიოდის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ნაწარმი, რომელიც იმჟამად არა მარტო საბჭოეთში იყიდებოდა, არამედ ევროპისა და სხვა ქვეყნებში, რახანია ისტორიას ჩაბარდა. დღეს, საქართველო – მრეწველობა-სოფლის მეურნეობის გარეშე დარჩენილი, მხოლოდ იმპორტული კვების პროდუქტებისა და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის (თანაც უხარისხოს) გადამმუშავებელი „ცეხია".

ასე რომ, ბაროზუს ნათქვამი სრული აბსტრაქციაა და მეტი არაფერი. შეძლებს საქართველო ისეთი პროდუქციის წარმოებას, რომელიც გაუძლებს ევროკავშირის ბაზრის კონკურენციას? ძნელი სათქმელია, ვინაიდან პროდუქციის საწარმოებლად საწარმოებია საჭირო, საწარმოების გასახსნელად ფული, ანუ უცხოური ინვესტიციები. ჩადებს უცხოელი ფულს საქართველოში? ძნელი სავარაუდოა, ვინაიდან მისი მოხიბვლა, საქართველოს შეზღუდული ბაზრით, ძალიან ძნელია. გარდა ამისა, არის კი საქართველოში კვალიფიცირებული მუშახელი?

ინვესტორს შეუძლია ინვესტიციების ჩადება, ქარხნის აშენება, მუშახელის გაწვრთნა, წარმოებული პროდუქციის სხვა ქვეყანაში გატანა, მათ შორის, ევროკავშირში გასაყიდად. მაგრამ ეს, გრძელვადიანი პროცედურა, ბევრ რისკებთაა დაკავშირებული, რაზეც უცხოელი არ წავა.

ასოცირებული წევრობის პერიოდში საქართველო გახდება (არავინ იცის რამდენ წელიწადს მოიცავს ის) საექსპერიმენტო პოლიგონი, ანუ ის ტერიტორია, რომელსაც ევროპელი ექსპერტები ხშირად ეწვევიან მარტივი გეგმის შესამუშავებლად – რა პროდუქცია უნდა აწარმოოს საქართველომ, რა რაოდენობით და ა.შ., რომ დაკმაყოფილებული იქნას ევროკავშირის მოთხოვნები. სულაც არ იქნება გასაკვირი, ევროკავშირმა რომ თქვას – ევროკავშირს უხვად აქვს საკუთარი ღვინოები, უმჯობესია, თქვენ სხვა რამ აწარმოოთო.

ევროკავშირ–საქართველოს სამომავლო ურთიერთობები რომ შორს იქნება იმ საზეიმო განწყობისგან, რაც „შალახოს" დროს იყო, ფაქტია. სამომავლო პროზაიკა უდავოდ დამთრგუნველი იქნება და, რაც მთავარია, არსებული ოპტიმიზმის გამაბათილებელი.

ნაკლებად ოპტიმისტურ განწყობაზე დადგება საქართველოს ბიუჯეტი და აქედან გამომდინარე, მოსახლეობაც, როდესაც ევროპული საქონელი დაიკავებს ქართულ ბაზარს და ჯერაც არსებულ თუ არარსებულ წარმოებას, უსერიოზულეს კონკურენციას შეუქმნის. მატრაკვეცა ქართველი მომხმარებელი უდავოდ შეეცდება ევროპულსა და სამამულო პროდუქციას შორის არჩევანი ევროპულზე გააკეთოს. ასეთ შემთხვევაში, თვით ჯერ არარსებულ ქარხანას – უცხოურ ინვესტიციაზე დაფუძნებულს, შეექმნება შიდა ბაზარზე საკუთარი პროდუქციის გასაღების პრობლემა.

ყოველივე აღნიშნული, მარტო ჩემი პესიმისტური ვარაუდები არ არის, იმ პესიმისტური მაგალითების გაცნობის შედეგიცაა, რასაც ადგილი აქვს ბულგარეთში, ბალტიისპირა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში, ძველი ევროპის სახელმწიფოებში. თითქმის 10 წელიწადია, ბულგარეთ–რუმინეთი ევროკავშირის ნამდვილი წევრები არიან, მაგრამ ევროპულ „სიკეთეებს" ვერა და ვერ ეღირსნენ. მარტი იმის თქმა – ევროკავშირის წევრები ვართ და ამიტომ ბედნიერები ვართო, მშიერ კუჭს ვერ დააპურებს.

არადა ეს, ორი სახელმწიფო წარმატებული იყო არა მარტო სოფლის მეურნეობაში, არამედ მრეწველობაში, სხვა დარგებში. დღეს მათი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა არავის უნდა, ამიტომაც ქარხნები, საწარმოები ჩონჩხებადაა ქცეული; მოსახლეობა – უმუშევარი და გაღატაკებული, ევროპას – მეძავებად, შავ მუშებად, დამლაგებლებლად, მომვლელებად მოდებული.

ჯან-ღონით სავსე რუმინელი, ბულგარელი, ბალტიისპირელი მირბის გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, სხვა შედარებით ძლიერ ქვეყნებში. მათ ადგილს სამშობლოში სხვები იკავებენ, მაგალითად, უკრაინელები და ა.შ.



ევროექსპერტობას ჯერაც ვერ გამოუგონებია დარგი, რომელშიც ბულგარეთ–რუმინეთი დასაქმდება. რა გარანტიაა, რომ ასეთი უმალ შემუშავდება საქართველოსთვის?!

ევროკავშირის ასოცირებული წევრობით დაიწყება იმ ნანატრი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისთვის წყლის შეყენება, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლამ გვარგუნა. საქართველოს კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაცია სხვა არაფერია, თუ არა შენის დავიწყება და სხვისის შეთვისება. ეს პროცედურა კარგად გამოსდის ქართველობას. ბრმა მიმბაძველობა იყო ბოლო 20 წლის განმავლობაში, რაც გაათკეცდება ასოცირებული წევრობის პერიოდში.

რით არის საქართველო საკუთარი პოზიციებისა და ინტერესების, სუვერენიტეტის უკეთესი დამცველი, ვიდრე ბულგარეთი, რუმინეთი, გერმანია ან ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნები? არც არაფრით. ბულგარეთმა უარი თქვა რუსულ პროექტ „სამხრეთის ნაკადზე", რომელსაც წლიურად მისთვის გაზის გარდა, ტრანზიტისთვის 2–3 მილიარდი ევრო მოჰქონდა – ამერიკელთა შიშით.

გერმანია – ასევე ამერიკელთა შიშით, სანქციებს აწესებს რუსეთის წინააღმდეგ. და არა მარტო ის, ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნებიც. ყველა ისინი მზად არიან ჩაეხუტონ რუსეთს, მაგრამ აშშ-ის შიშით რომ არ ეხუტებიან, მილიარდობით ევროს კარგავენ.

როდესაც ევროკავშირის ძლიერი წევრი ქვეყანა იტყვის, ევროკავშირიდან გავდივარ, ვინაიდან ეს კავშირი ჩემს სუვერენიტეტს ემუქრებაო (ინგლისი მყავს მხედველობაში); როდესაც ევროკავშირის პარლამენტარი ფრანგი ლე პენი და არა მარტო ის, სხვებიც, იტყვიან – ევროკავშირი უნდა დაიშალოსო, მთლად კარგად არ უნდა იყოს ევროკავშირის საქმე.

ვერ გავიზიარებ ბიძინა ივანიშვილის ნათქვამს – ევროკავშირი ის ორგანიზაციაა, რომელიც ყველა კავშირს ჯობია და ამიტომაც გვსურს იქ შესვლაო.

არადა, მძიმე ეკონომიკური ვითარება, უმუშევრობა, საფინანსო კრიზისი და სხვა ნეგატიური მდგომარეობა, რაც ევროკავშირშია, ნაკლები ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. მოვლენები სწრაფად ვითარდება და სრული შესაძლებელია კემერონის, ლე პენის, ფარაჯას და სხვათა პროგნოზი გამართლდეს – ანუ დაიშალოს ევროკავშირი, მაშინ ჩვენ რა?

არც არაფერი. უთავმოყვარო კაცივით სხვა კავშირს მივაშურებთ?!

სხვა კავშირი კი ევრაზიული კავშირია, ახალგაზრდა ორგანიზაცია, რომელიც ძალას იკრეფს. მარტო ის რად ღირს, როდესაც თურქეთი, ირანი, ინდოეთი, სხვა ქვეყნები აცხადებენ ერთიან საბაჟო კავშირში შესვლის სურვილს.

რატომ არჩია სომხეთმა ევრაზიული კავშირი და არა ევროკავშირი?! იმიტომ ხომ არა, რომ თავი აარიდა ასოცირების შედეგად მოტანილ კატაკლიზმებს? სომხური საქონელი მისაღებია ევრაზიული კავშირისთვის ისე, როგორც ქართული იქნებოდა.

ევრაზიულ კავშირში შესვლა ნიშნავდა ძველი ინდუსტრიის ამუშავებას, სოფლის მეურნეობის აღორძინებას, მრეწველობის, მეხილეობის, მეთამბაქოეობის განვითარებას, კულტურისა და ხელოვნების კვლავ გაფურჩქვნას. ქვეყანამ იქ უნდა „ითამაშოს", სადაც უნდათ მისი თამაში; სადაც მისი საქონელი გასაღდება; სადაც მისი მენტალიტეტი მიესადაგება სხვათა მენტალიტეტს და არა იქ, სადაც მესამეხარისხოვნად გიყურებენ; სადაც შენი არაფერი უნდათ, თან ურჩ მოსწავლედ გთვლიან.

ეს წუთისოფელი ხანმოკლეა ნებისმიერი ადამიანისთვის, ამდენად, ყოველი დღე, თვე, წელიწადი, მრავალი წელი არ უნდა შეელიოს მომავალი ვირტუალური კარგი ცხოვრების პროპაგანდას, თანაც ისეთის, რომელიც არასდროს დადგება. ჩემი ასაკის ხალხს კარგად ახსოვს კომუნისტების დაპირება კომუნიზმში ცხოვრებასთან დაკავშირებით. ვერ ვეღირსეთ დანაპირების ასრულებას. დღეს კი, რეტროსპექტული მზერის შემდეგ, ვამბობთ – დღევანდელთან შედარებით, თურმე კომუნიზმში გვიცხოვრიაო. კომუნისტებს ერთი კარგი რამ ჰქონდათ – კომუნიზმს რომ ამბობდნენ, არ ამბობდნენ ის სიკეთეები სწორედ ამ დღეს მოვაო. კომუნიზმამდე მისასვლელ გზებს ყოველდღიურად აკეთებდნენ.

საქართველომ საკუთარი ხელისუფლების წყალობით, მეტად შორეული, შესაძლოა აუსრულებელი პროექტი აირჩია – ევროატლანტიკური. იმ გურული ანეკდოტისა არ იყოს – კრებას რომ ეკითხებიან კომუნიზმზე ვილაპარაკოთ თუ ნალიის აშენებაზეო? და პასუხად რომ იღებენ – კომუნიზმზე – ვინაიდან ნალიის აშენებას პრაქტიკული გარჯა ესაჭიროებაო. ჩვენ ნაცვლად იმისა, საკუთარი საქმე გვეკეთებინა – ყოველდღე და მონდომებით, საკუთარი სახლი ვანგრიეთ, საკუთარი ქუჩები, ქარხნები, სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტები, სულიერება. ფაქტობრივად, დავანგრიეთ და გავანადგურეთ ყველაფერი, რისი დანგრევაც შეიძლებოდა და არ შეიძლებოდა. ახალი კი ვერ ავაშენეთ.

დამოუკიდებლობის დროს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას შორის ყველაზე ლაყე გამოვდექით, თანაც სამარცხვინოდ – სხვისი ხელისშემყურე. რაც შევძელით, შიდა ომების მოწყობაა – წაგებით, ტერიტორიების დაკარგვით და ამ საქმეში სხვისი დადანაშაულებით.

როდესაც ქალაქის მერი ნახევარი წლის განმავლობაში თბილისის ერთკილომეტრიან ქუჩაზე (ქუჩებზე) ასფალტს ვერ დააგებს, თვალს დახუჭავს, ვითომ კანონიერ, სინამდვილეში უკანონო მშენებლობებზე, რაც დედაქალაქში ხდება; როდესაც „სპორტის სასახლის" ირგვლივ იმდენი შენობა–ნაგებობა წამოჭიმეს, სასახლეში შესვლა ჭირს; როდესაც საქართველოს ერთადერთი ქალაქისთვის ვერ მოგვივლია – მაღალ მატერიებზე ლაპარაკი ზედმეტია.

ქართველებს რატომღაც ჰგონიათ, რომ ასოცირებული წევრობა ან ევროკავშირის წევრობა ნიშნავს იმას, რომ ევროპელი ქუჩას დაგიგვის, წესრიგს დაგიმყარებს, საქალაქო ტრანსპორტზე ნომრებს დაგიკრავს, ქუჩაში არ გადაგაფურთხებინებს, ტრანსპორტის მოძრაობას მოაწესრიგებს, მიწისქვეშა გადასასვლელებს დაგისუფთავებს (შარდის სუნით რომ ყარს) და ა.შ.

არა ბატონებო! ეს შენ უნდა გააკეთო, ანუ აქამდე უნდა გაგეკეთებინა ისე, როგორც ეს ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა გააკეთეს. მაგალითად ბელარუსს მოვიყვან. ეს ქვეყანა წარმოებული პროდუქციის 75–80% საზღვარგარეთ ყიდის, რის შედეგად მას წლიურად 7–8 მილიარდი დოლარი შესდის. ბელარუსი აწარმოებს ისეთ გიგანტ თვითმცლელ ავტომანქანებს, როგორებიცაა „ბელაზები", „მაზები", გარდა ამისა, ტრაქტორებს, კომბაინებს, ტროლეიბუსებს, ავტობუსებს, ვაგონებს. ბელარუსის არც ერთი ქარხანა არ გაჩერებულა, მითუმეტეს არ გაძარცულა და გაყიდულა საზღვარგარეთ ისე, როგორც ეს საქართველოში მოხდა.

ბელარუსი არც ევროკავშირის და არც ნატოს წევრი არ არის და, რაც მთავარია, სულაც არ იჩემებს იქ ყოფნას. ის ევრაზიული კავშირის წევრია. ახლა რაც შეეხება ამ ქვეყნის სუვერენიტეტს – მე არ ჩამოვთვლი ბელარუსის პრეზიდენტის განცხადებებს რუსეთის ხელისუფალთა მიმართ, ყველა მათგანი გაჟღენთილია, ჩვენ რომ ოპოზიციურად მოვნათლავთ, ისეთი სულისკვეთებით. ასეთის თქმისთვის ევროკავშირში თავს თუ არა, ენას მაინც მოგაჭრიან. დსთ, ევრაზიული კავშირი იტანს ამას, ვინაიდან თვლის, რომ დემოკრატიაა მთავარი.

საქართველოს მოსახლეობას იმითაც აშინებენ ჩვენი პოლიტიკოს–პოლიტოლოგები – ევრაზიულ კავშირში რომ შევიდეთ, აქ რუსული პარპაში დაიწყებაო. ევროკავშირის ასოცირებული წევრობა – 28 ქვეყნის პარპაშს არ ნიშნავს და თანაც როგორს, შენი რომ არ უნდათ და თავისის დამკვიდრებას შეეცდებიან?

ჩემი აზრით, ქვეყანა იქ უნდა იყოს, სადაც მისი ფესვებია და არა იქ, სადაც ვითომ იყო. ჩვენი მეტიჩარა გოგო-ბიჭები, არასამთავროებიდან მთავრობაში მოვლენილები, ისტორიის უმეცარნი, ზედაპირულები და ამერიკულად „ვაუს" მძახებელნი, მამალ ტყუილს უგორებენ საკუთარ მოსახლეობას – ევროპულ ოჯახში დავბრუნდითო.

თუ არ ვცდები, სიტყვა „დაბრუნება" ნიშნავს იმას, რომ სადღაც იყავი და ძველს დაუბრუნდი. ჩვენ იქ ვიყავით, სადაც ვართ! საქართველო არც არასდროს ყოფილა ევროპაში. მართალია, ქართველს ისეთი კანის ფერი აქვს, ყურებიც და თვალებიც (ცხვირი რა მოგახსენოთ), როგორც ევროპელს, მაგრამ გარეგნობით არ გამოიხატება მისი ევროპელობა. ჩვენ ტვინით განვსხვავდებით მათგან, ანუ ისინი ჩვენგან – ტვინით! ტვინი კი ისეთი რამ არის, მის გადაკეთებას რამდენიმე თაობა რომ სჭირდება.

ვიმეორებ, ჩვენ აქ, ამ მიწაზე დავიბადეთ. მიწაზე, რომელსაც კავკასია, მცირე აზია ჰქვია – არავისზე ნაკლებზე, არავისზე მეტზე – მდებარეობის თვალსაზრისით. ერი აქ დაიბადა, აქ დაირწა მისი აკვანი, აქ გაიცნო მეზობლები, დაამყარა მათთან კავშირები და არა ცხრა მთას იქით მყოფთან. და რახან ასეა, ამაზე უნდა ვიფიქროთ, აქ უნდა ვჭედოთ ჩვენი აწმყო და მომავალი, ჩვენს მეზობლებთან ერთად.



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

◉ რეფერენდუმი

# ჟურნალისტთა 2014 წლის რჩეულნი

**ქართული მედიის 36 წარმომადგენელი მონაწილეობდა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ტრადიციულ საახალწლო რეფერენდუმში, რომელმაც საქართველოს 2014 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენი და საუკეთესო გუნდი გამოავლინა.**



1964 წლიდან მოყოლებული, წლევანდელი გამოკითხვა 49-ე იყო. ანკეტებში სპორტის 14 სახეობაში სულ დასახელდა 40 ნომინანტი, აქედან I ადგილზე – 6. საქართველოს 2014 წლის №1 სპორტსმენი გახდა ძიუდოში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი **ავთანდილ ჭრიკიშვილი,** რომელმაც 28 პირველი ხმა მიიღო.

**2014 წლის საუკეთესო სპორტსმენი და ათეული**

1. ავთანდილ ჭრიკიშვილი (ძიუდო) – 332 ქულა, 2. ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (თავ. ჭიდაობა) – 283 ქულა, 3. ვალერი ლიპარტელიანი (ძიუდო) – 212 ქულა, 4. ზაზა ფაჩულია (კალათბურთი) – 149 ქულა, 5. ვახტანგ ჩიდრაშვილი (სამბო) – 143 ქულა, 6.მამუკა გორგოძე (რაგბი) – 83 ქულა, 7. ამირან პაპინაშვილი (ძიუდო) – 72 ქულა, 8. ბექა ღვინიაშვილი (ძიუდო) – 69 ქულა, 9. გოგიტა არქანია (კარატე) – 68 ქულა, 10. ბექა ბაზაძე (ფარიკაობა) – 57 ქულა.

**გუნდები**

1. საქართველოს კალათბურთის ეროვნული ნაკრები – 10 ქულა, 2. საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრები – 9 ქულა, 3. საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები – 6 ქულა.

სულ დასახელდა 7 ნაკრები.

**ლექსო ცინცაძე**

◉ ცურვა

# შვიდი მედალი სლოვენიიდან



**მარიბორში (სლოვენია) გამართულ ახალგაზრდა მოცურავეთა საერთაშორისო ტურნირში 10 ქვეყნის 400-მდე წარმომადგენელი ასპარეზობდა სამ ასაკში. ჯილდოების მაძიებელთა შორის საქართველოს 13 სპორტსმენიც (მწვრთნელები – გიორგი აბზიანიძე, მანანა თურქია) იყო.** 1997-1998 წლებში დაბადებულთა შორის გიორგი ბიგანიშვილმა 50 მეტრზე თავისუფალი ყაიდით თავის ასაკში IX ადგილი დაიკავა, ორი წლით უფროსებში კი ამავე დისტანციაზე ყველას აჯობა და ოქროს მედალი დაიმსახურა.

1999-2002 წლებში დაბადებული მოცურავეები გაისად თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში მოსინჯავენ ძალებს. მარიბორში 13 წლის გოგონებში მერი მუმლაძემ 50 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ვერცხლის მედალი მოიპოვა, 100 და 200 მეტრზე კი IV და VI ადგილები დაიკავა. რუსუდან გოგინაშვილს ბატერფლაით 50 მეტრზე ბრინჯაოს მედალი ხვდა, ბრასით კი ამავე დისტანციაზე V იყო ფინიშთან.

14 წლის ბიჭებში განსაკუთრებით ლევან ბახტურიძემ იყოჩაღა: ბრასით 50 მეტრზე ოქროს, 100 მეტრზე კი ვერცხლის მედალი მოიპოვა. მანვე 100 მეტრზე ბრასით ორი წლით უფროსებშიც იასპარეზა და ბრინჯაოს მედალი ხვდა; საქართველოს სპორტულ დელეგაციას კიდევ ერთი ჯილდო ირაკლი კვარაცხელიამ მოუტანა – 50 მეტრზე ბატერფლაით მესამე ადგილი დაიკავა, 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში კი მე-5 იყო.

**გივი გაგუა**

◉ ფუტსალი

# თასი თსუ-ს ერგო

**საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის (პრეზიდენტი ლექსო გუგავა) ინიციატივითა და ორგანიზებით ორ კვირაზე მეტ ხანს გრძელდებოდა ამ ფედერაციის თასის გათამაშება ფუტსალში. საასპარეზოდ ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების 16-მა გუნდმა მოიყარა თავი. ისინი ოლიმპიური სისტემით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ორწრიანი დაძაბული პაექრობების შემდეგ ნახევარფინალში ოთხი გუნდი გავიდა, იქ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფეხბურთელებმა 3:0 მოუგეს საქართველოს უნივერსიტეტის გუნდს (გოლები: თედო მაყაშვილი, სანდრო მაღლაკელიძე, დავით კასრაძე), მეორე ნახევარფინალში კი სტუ-მ ილიაუნის წარმომადგენლებს აჯობა 3:1 (გოლები: გია ნინოშვილი (2) და შოთა უშარაული; მერაბ სომხიშვილი).**



გადამწყვეტი ორთაბრძოლა „არენის“ დარბაზში გაიმართა. გადაჭედილი ტრიბუნების ომახიანი შეძახილებით გამხნევებულ ფეხბურთელებს წარმატების მისაღწევად ძალა და ენერგია არ დაუშურებიათ. პირველ ტაიმში სტუ-ს ფეხბურთელმა დავით წინწკალაძემ ანგარიში გახსნა. შესვენების შემდეგ მიხეილ თევზაძემ წონასწორობა აღადგინა. ძირითადი დროც ფრედ – 1:1 დამთავრდა. პენალტების სერიაში უფრო ზუსტი თსუ-ს ფეხბურთელები (ნიკა ფხაკაძე, ნიკა შონია, ნიკა კურტანიძე, მიხეილ თევზაძე, ზურაბ გარსევანიშვილი, ლევან გზირიშვილი, თედო მაყაშვილი, ბექა ონიანი, თემურ მაყაშვილი, თემურ ექიზაშვილი, სანდრო მაღლაკელიძე, დავით კასრაძე, თორნიკე კვიტატიანი, თორნიკე ქართველიშვილი, მწვრთნელი ბესიკ არველაძე) აღმოჩნდნენ, რომლებმაც 4:3 გაიმარჯვეს და მთავარი პრიზიც დაიმსახურეს. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ნიკა ფხაკაძე (თსუ) დაასახელეს.

**ვაჟა დანელია**

**სურათზე:** თსუ-ს გუნდი.
**ავტორის ფოტო.**

◉ დაბრუნება სამშობლოში

# კახა ცხადაძე მოლიპულ აღმართს შეუყვა

**რესტორან „ქალაქურში“, 2014 წლის შემაჯამებელ ღონისძიებაზე, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას წლის საუკეთესო ფეხბურთელი უნდა დაესახელებინა, როცა მოულოდნელად გამოაცხადა:**

„გთხოვთ, დაჯილდოების შემდეგ კიდევ რამდენიმე წუთი დარჩეთ. მნიშვნელოვანი ამბავი უნდა გამოვაცხადო“.

ცხადია, ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელის – ყაზანის „რუბინის“ მცველ საბა კვირკველიას ვინაობის გაგება ყველას აინტერესებდა, მაგრამ სიჭინავას სიტყვებმა იქ შეკრებილი საზოგადოება დააინტრიგა. მერე ისეთი სცენა გათამაშდა, როგორც ფილმებში ხდება.

„ვთქვით, რომ ეროვნული ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელს დეკემბრის ბოლოს დავასახელებდით და პირობას ვასრულებ. გუშინ მივიღეთ ბაქოს „ინტერის“ საპატიო პრეზიდენტის წერილი, სადაც ის გვამცნობს, რომ თანახმაა, კლუბში მუშაობის პარალელურად, კახა ცხადაძე საქართველოს ნაკრებშიც დასაქმდეს და კონტრაქტი ჩვენთანაც გააფორმოს“, – თქვა სიჭინავამ.

ამ დროს დარბაზში ბაქოს „ინტერის“ მწვრთნელი კახა ცხადაძეც გამოჩნდა:

„დიდი მადლობა ბატონ ზვიადს ასეთი ნდობისთვის, თქვენ კი – თბილი მიღებისთვის. რა თქმა უნდა, ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, საქართველოში რომ დავბრუნდი და მომეცა საშუალება, გამოცდილება და საუკეთესო თვისებები გამოვავლინო.

შევეცდები, ნაკრები ამ კრიზისიდან გამოვიყვანო. ეს ყველამ ერთად უნდა ვცადოთ. აქვე, მივმართავ ფეხბურთელებს – მე თქვენი იმედი მაქვს, მჯერა, რომ კარგი ფეხბურთელები ხართ და მოგება და მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატებზე გასვლაც შეგიძლიათ.

მადლობას ვუხდი „ინტერის“ სპონსორსა და საპატიო პრეზიდენტ ჯაჰანგირ გაჯიევს, რადგან ნაკრებში მუშაობის საშუალება მასთან შეხვედრის შემდეგ მომეცა“, – თქვა ცხადაძემ.

ამის შემდეგ ცხადაძე და სიჭინავა მაგიდას მიუსხდნენ და კონტრაქტი 2015 წლის 1 ივნისამდე გააფორმეს, რის შემდეგაც 2-წლიანი ხელშეკრულება დაიდება. ცხადაძე ეროვნულ ნაკრებს ევრო 2016-ის შესარჩევ ციკლში, 29 მარტს გერმანიასთან თბილისურ შეხვედრაშიც უხელმძღვანელებს და 13 ივნისს - პოლონეთთან საგარეო მატჩშიც.

რაც მთავარია, ცხადაძემ სიტყვა შეასრულა და 1-ელ ივნისამდე ნაკრებს უსასყიდლოდ გაწვრთნის. ამ დროის განმავლობაში ის ბაქოს „ინტერშიც“ იმუშავებს (ხელშეკრულება ჯერჯერობით ამ კლუბთანაც აკავშირებს) და სეზონს ჩაამთავრებს, შემდეგ კი მთლიანად საქართველოს ნაკრებზე გადმოერთვება.

* * *

**მაშ, ასე! კახა ცხადაძე საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელია!**



2014 წლის 14 ნოემბერს საქართველოსა და პოლონეთის ნაკრებთა მატჩის შემდეგ გამართული პრესკონფერენცია უკანასკნელი აღმოჩნდა თემურ ქეცბაიასთვის ქვეყნის მთავარი გუნდის თავკაცის რანგში. იქიდან მოყოლებული, 25 დეკემბრამდე ნაკრები უმწვრთნელოდ იყო.

ამ დღეს კი თითქმის ისედაც გაცხადებული ამბავი ოფიციალურადაც გაცხადდა - მომდევნო 2 წელიწადისა და 7 თვის განმავლობაში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მისი ყოფილი კაპიტანი კახა ცხადაძე დამოძღვრავს!..

...გივი ნოდია, გიგა ნორაკიძე, ალექსანდრე ჩივაძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, რევაზ ძოძუაშვილი, გიგლა იმნაძე, გაიოზ დარსაძე, მერაბ ჟორდანია, გოჩა ტყებუჩავა, თემურ ქეცბაია, იოჰან ბოსკამპი, ალენ ჟირესი, კლაუს ტოპმიოლერი, ივო შუშაკი, პეტარ შეგრტი, ექტორ კუპერი – 1990 წლიდან მოყოლებული, საქართველოს ნაკრები ამ სპეციალისტებს გაუწვრთნიათ, თანაც, დავით ყიფიანსა და ალექსანდრე ჩივაძეს ორ-ორჯერ მოუწიათ მეტად პრესტიჟული და, ამავდროულად, ძალზე რთული და საპასუხისმგებლო მისიის შესრულება!

საქართველოს ეროვნული ნაკრების ისტორიაში მე-18 მთავარ მწვრთნელს, კახა ცხადაძეს, ერთი შეხედვით, დიდი წარდგენა არც სჭირდება. მას წარმატებული საფეხბურთო კარიერაც ჰქონდა და არანაკლებ წარმატებული გამოდგა მისი საქმიანობა სამწვრთნელო ასპარეზზეც.

თუმცა, ისიც ფაქტია, რომ საქართველოს ნაკრებში ახალი მთავარი მწვრთნელის მისვლა ჩვეულებრივი ამბავი ნამდვილად არ არის. ამით ეროვნულ გუნდში ახალი ეპოქა იწყება.

**დოსიე:**

**კახა ცხადაძე დაიბადა 1968 წლის 7 სექტემბერს რუსთავში**

**საფეხბურთო კარიერა**

1985-87 მეტალურგი რ.
1988-89 დინამო თბ. 41 (1)
1990-91 იბერია თბ. 44 (2)
1990-92 დსთ-ს ნაკრები 6 (1)
1991 სუნდსვალი შვედ. 7
1992 სპარტაკი მ. 7
1992 დინამო მ. 12
1993-96 აინტრახტი ფრ. 73 (1)
1994-98 საქართველოს ნაკრები 25 (1)
1997 ალანია 17 (1)
1998-2000 მანჩესტერ სიტი 12 (2)
2000-02 ლოკომოტივი თბ. 22
2003-04 ანჟი 40 (1)

**სამწვრთნელო კარიერა**

2001-02 ლოკომოტივი თბ.
2005 დინამო თბ.
2006-08 სიონი ბოლ.
2008 სტანდარდი აზერ.
2009 საქართველო 21-წლამდელები
2009 - ინტერი (ბაქო, აზერბაიჯანი)
2014 - საქართველოს ერ. ნაკრები
მოთამაშე-მწვრთნელის რანგში

**ტიტულები**

**საფეხბურთო კარიერა:**

საქართველოს ორგზის ჩემპიონი; რუსეთის თასის მფლობელი; რუსეთის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი; ბუნდესლიგის მესამე პრიზიორი; ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის; ევროპის 1992 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე; იყო საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველი კაპიტანი.

**სამწვრთნელო კარიერა:**

საქართველოს ორგზის ჩემპიონი (დინამო თბ – 2005, სიონი - 2006); საქართველოს სუპერთასის მფლობელი (2005); აზერბაიჯანის ჩემპიონი (2010); თანამეგობრობის თასის გამარჯვებული (2011); აზერბაიჯანის ჩემპიონატის ვერცხლის (2014) და ორგზის ბრინჯაოს (2012, 2013) პრიზიორი.

**გიორგი შოთაძე**

◉ ინტერნეტიდან

# ირინა შეიკი მთვარეზე ოცნებობს

**პორტუგალიელი ბურთის მგორებლის კრიშტიანუ რონალდუს არანაკლებ პოპულარულმა გულისსწორმა ირინა შეიკმა ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთ ტელეშოუში ნახევრად ხუმრობით განაცხადა, რომ მისი ოცნება მთვარეზე მოგზაურობაა და სიამოვნებით გაივლიდა ნილ არმსტრონგის განვლილ გზას.**

ეს ჟურნალისტებიც ადგნენ და რონალდუს მიეჭრნენ - შენს შეყვარებულს მთვარეზე მოგზაურობა რომ უნდა, ამოდენა მილიონერი კაცი ხარ და ეს როგორ ვერ უნდა მოუხერხოო. ფეხბურთელიც არ დაიბნა და განაცხადა, თუკი ირინას ეს სურვილი სერიოზულად გააჩნია, რა პრობლემაა, როცა უნდა, მაშინ ავუსრულებო.

ცნობისათვის, მთვარეზე ტურისტული მარშრუტები 20 წელზე მეტია, რაც არსებობს და ამ გზით არაერთმა მილიონერმა დააბიჯა ფეხი დედამიწის თანამგზავრს. ეს სიამოვნება დაახლოებით 20 მილიონი დოლარი ჯდება და თუკი ირინამ მართლაც გულით მოინდომა მთვარეზე განავარდება, რონალდუსთვის ეს სულაც არ იქნება პრობლემა.

**როსტომ რაჭველიშვილი**



◎ დედაქალაქი

# ფეხბედნიერი ყოფილიყავი, წელო ახალო!



**გაფაციცებული საახალწლო მზადებაა თბილისის მოედნებსა და ქუჩებში, პარკებსა და სკვერებში.**

**დედაქალაქის ცენტრალური ქუჩები უკვე რამდენიმე დღეა საახალწლო ილუმინაციის ნაირნაირი ნათურებითაა განათებული, საზეიმოდ მორთულა პარკები და სკვერები, ნაძვის ხეებით დამშვენდა მრავალი მოედანი, ათასფრად აკიაფდა უთვალავი სათამაშო.**

პარლამენტის მოედანზე, ქვეყნის მთავარი ნაძვის ხესთან უკვე რახანია მთელი დღის მანძილზე ბავშვების მხიარული შეძახილები გაისმის — 25 დეკემბერს გაჩირაღდნებული „ზამთრის დედოფლის“ მახლობლად ნორჩი თბილისელები ცხენებშებმული მარხილებითა და მანქანებით სეირნობენ, იქვე ჯიხურებში ნაყიდი საჩუქრებით ხელდამშვენებულები ბრუნდებიან შინ თვალებგაბრწყინებულები.

დიდი საახალწლო სამზადისია ევროპის მოედანზე, სადაც, უკვე ტრადიციული დიდი საახალწლო ზეიმები გაიმართება — იქ დიდპატარას თოვლის პაპები, საყვარელი ზღაპრებისა და ანიმაციური ფილმების პერსონაჟები უმასპინძლებენ, სიმღერებით, ლექსებითა და ცეკვებით გაართობენ, ტკბილეულით გაუმასპინძლდებიან.



მართალია, ახალ წლამდე ჯერ კიდევ რამდენიმე დღეა დარჩენილი, მაგრამ საახალწლო მხიარულება ევროპის მოედანზე უკვე ძალუმად იგრძნობა, საკონცერტო სცენა სულ მალე გაიმართება, მაგრამ სტუმრები უკვე ხალისით ერთობიან მაგიდის ჩოგბურთის თამაშით, ათასნაირი ატრაქციონებით, დასეირნობენ მანქანებით და ცხენიანი მარხილებით.



ახალი წლის ღამეს კი საზეიმო კონცერტი გვიან დაიწყება და უკვე გაისად, 1 იანვარს, 3 საათზე დასრულდება.

**ნინო ალექსანდრია**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**



მეუღლე ლამარა ესართია, შვილები შორენა, მირიან ლებანიძეები, სიძე ზურაბ თოლორდავა, რძალი ნინო გერმესაშვილი, შვილიშვილები მარიამ ლებანიძე, თამარ და თინათინ თოლორდავები, ნათესავები, მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ელგუჯა ლებანიძე**

პანაშვიდი 28, 29, XII, 17 სთ. დაკრძალვა 30. XII, 14 საათზე, თბილისი, ვარკეთილი-3, მე-4 მიკრ. 407-ე კორპ. მერვე სადარბაზო.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ 76 წლისა გარდაიცვალა ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, წლების განმავლობაში ჩვენი გაზეთის წამყვანი ლიტერატურული მიმომხილველი, ღირსეული მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე, შესანიშნავი ოჯახის თავკაცი, უკეთილშობილესი კოლეგა და მეგობარი

**ელგუჯა ლებანიძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს და ნათესავებს.



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და ადმინისტრაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი თანამშრომელი, სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს სწავლული მდივანი, ქალბატონი

**ნათელა მეძმარიაშვილი**

უნივერსიტეტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

◎ ინფორმაცია

## ქუთაისში მთავარი ნაძვის ხე აინთო

ქუთაისში მთავარი ნაძვის ხე ქალაქის მერმა შოთა მურღულიამ ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად აანთო. ღონისძიებას საკრებულოს თავმჯდომარე და დეპუტატები დაესწრნენ. მათ მოსახლეობას დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს. ქუთაისში საზეიმო ღონისძიებები 30 დეკემბრიდან იწყება და 15 იანვრამდე გასტანს. 30 დეკემბერს პირველად ქუთაისში ქალაქის ძველ უბანში განთავსდება და საზეიმოდ განათდება მინიატიურული საახალწლო ქალაქი, რომელიც საახალწლო ღონისძიებების ეპიცენტრად იქცევა.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

◎ შობა-ახალი წელი

# თოვლის პაპის მეტამორფოზები



**თეთრთმიანი და თეთრწვერა, კვერთხმომარჯვებული და ზურგზე საჩუქრებით სავსე ტომარამოკიდებული ბერიკაცი — ახალი წლის დადგომამდე ყველა ოჯახი უნდა მოიაროს და დამჯერ ბავშვებს მოსაკითხი დაურიგოს — ასეთია თოვლის პაპის საყოველთაოდ ცნობილი იერსახე. მაგრამ, თურმე, ასეთი იგი ყოველთვის „არ ყოფილა“.**

თოვლის პაპას უწინ მრისხანე და მკაცრ სულად წარმოიდგენდნენ, რომელსაც ქვეყანაზე თოვლი, სიცივე და ზამთრის ქარები მოაქვს. მაგრამ დროთა განმავლობაში მისმა იერმა გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა და კეთილი, გულისხმიერი მოხუცის სახე მიიღო, რომელსაც მარტო ყინვა და თოვლი კი არა, არამედ ბავშვებისვის საჩუქრებიც მოაქვს და ნატვრებსაც უსრულებს. ეს მეტამორფოზა ქვეყნის გაქრისტიანების შემდეგ მოხდა, როცა თოვლის პაპამ წმინდა ნიკოლოზ მირლიკიელის სასწაულმოქმედის ხასიათის ნიშნები შეიძინა.

წმინდა ნიკოლოზი III საუკუნეში ქალაქ ფათარაში (ლიკია, მცირე აზია), შეძლებულ ოჯახში დაიბადა. მან კარგი განათლება და დიდი მემკვიდრეობა მიიღო, ცხოვრება უფლის მსახურებას მიუძღვნა, ამიტომ ადრე ქრისტიანულ ხანაში ლიკიის სახელმწიფო დედაქალაქის მირას მცხოვრებლებმა იგი ეპისკოპოსად აირჩიეს, რის გამო მას „მირლიკიელი“ შეერქვა. **ლეგენდით, ერთი ღარიბი კაცის სახლთან რომ ჩაიარა, რომელსაც სამი გასათხოვარი ქალიშვილი ჰყავდა, მან შემთხვევით დების საუბარს მოკრა ყური — სამივე და ოჯახის შიმშილისგან სიკვდილით გადასარჩენად საკუთარი თავის მონად გაყიდვას აპირებდა. წმინდა ნიკოლოზმა გაუბედურებული ოჯახის გადასარჩენად ღამე ჩუმად ბუხრის საკვამურში ოქროთი სავსე ქისა ჩააგდო, რომელიც შემთხვევით იქვე გასაშრობად წინდაში ჩავარდა. უზომოდ გახარებულმა მამამ ქალიშვილებს მზითევი უყიდა და სამივე გაათხოვა.**

ამის შემდეგ, შობამდე რამდენიმე დღით ადრე, წმინდა ნიკოლოზი ღარიბთა ოჯახებში ფულს, ტკბილეულსა თუ სათამაშოს უჩუმრად დებდა. მაგრამ ერთხელაც, როცა საჩუქრებით სავსე ტომარამოკიდებული წმინდანი ერთი სახლიდან მეორეში გადადიოდა, ღამის გზირებს გადაეყარა; მცველებმა იცნეს იგი და მისი საიდუმლოც გამხილდა. **ამ დროიდან მოყოლებული მას როგორც ღარიბთა და ბავშვთა მფარველს მიაგებენ პატივს, შობაზე კი პატარებს საჩუქრებს მისი სახელით ჩუქნიან.**



ევროპასა და ამერიკაში წმინდა ნიკოლოზის სახე თანდათანობით შეიცვალა და სანტა-კლაუსად გადაიქცა. ამ სახეცვლაში დიდი როლი კლემენტ მურის პოემამ „წმინდა ნიკოლოზის მოსვლამ“ შეასრულა, სადაც იგი **სიცოცხლისმოყვარე და გუნებამხიარულ ბუთხუზა ბერიკაცადაა წარმოსახული, რომელსაც გემრიელი ჭამა და ყალიონის გაბოლება უყვარს.**

უნდა ითქვას, რომ დასავლეთის ქვეყნებში თოვლის პაპის სამოსელის ყველა წვრილმანს გარკვეული დატვირთვა აქვს. **მაგალითად, გრძელი ჭაღარა თმა და წვერი ძლევამოსილებას, კვერთხი — ძალაუფლებასა და ბედნიერებას მიანიშნებს, თეთრი თათმანები კი ყოველივეს სისპეტაკესა და სიწმინდეს, რომელსაც იგი საკუთარი ხელით გასცემს.**

თოვლის პაპას მრავალი კოლეგა ჰყავს, რომელთაგან ყველაზე ცნობილი, რა თქმა უნდა, სანტა-კლაუსია, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიბადა, მისი სახელი კი პრესაში 1773 წელს გაჩნდა. სანტა-კლაუსს კოხტა თეთრი წვერ-ულვაში აქვს, ტყავის შავქამრიანი წითელი ქურთუკი და შარვალი აცვია, თავზე ამავე ფერის ქუდი ახურავს. პუტკუნა სანტას გემრიელი ჭამა და მხიარულება უყვარს, იგი ირმების მარხილით დადის, სახლებში საკვამურიდან ძვრება და ბუხართან ჩამოკიდებულ წინდებში საჩუქრებს აწყობს.

თუმცა, არის ქვეყნები, მაგალითად, თურქეთი, სადაც წმინდა ნიკოლოზის სახეს არავითარი ცვლილება არ განუცდია. პოლონეთსა და ბელგიაში კი შობის ღამეს ცხენზე ამხედრებული წმინდა ნიკოლოზი ეპისკოპოსის თეთრ მანტიაში და თავზე მიტრადახურული მიდის ხოლმე, თან მსახური მავრი ახლავს, რომელსაც გონიერი, დამჯერი ბავშვებისთვის განკუთვნილი საჩუქრების ტომარა აბარია, ანცი და თავნება ბავშვებისთვის კი როზგები აქვს მომარაგებული. ფინეთში კი იოლუპუკი ცხოვრობს, რაც „ტყის კაცს“ ან „საშობაო პაპას“ ნიშნავს. მისი სახე, იერი და ლეგენდა ერთი-ერთზე ჰგავს სანტა-კლაუსისას, თუმცა კი, მისგან განსხვავებით ცოლი ჰყავს. ჩეხეთში კი თოვლის პაპას ტომრის მაგივრად ზურგჩანთა აქვს, თან ანგელოზი და პატარა ეშმაკი ახლავს. შვედეთში ტბებით გარშემორტყმულ ტყეში თავის თოვლისკაც დასტისტისთან, ჯადოსნებთან, თოვლის მეფე-დედოფალთან და მთავარ თანაშემწე ელფებთან ერთად იულ ტომტენი ბინადრობს. იულ ტომტენს თავისი შახტა აქვს, სადაც ელფები გამუდმებით მოიპოვებენ ოქროს სამკაულებისა და საჩუქრებისთვის, რომლებსაც იგი შობის ღამეს დამჯერ ბავშვებს ჩუქნის.

**მერი იაშვილი**

## ◉ იცოდით?

# კვიცი გვარზე ხტის

იმ ვაჟიშვილების შემეცნებითი უნარი, ვის მამებსაც ჰქონდათ ნასამართლობა, უფრო დაბალია, ვიდრე კრიმინალური წარსულის არმქონე მამების ვაჟიშვილებისა, და ეს დაკავშირებულია გენეტიკურ ფაქტორებთან, და არა მამების ქცევასთან, აჩვენა შვედი და ფინელი მეცნიერების გამოკვლევამ.

მკვლევარებმა გამოიყენეს მონაცემების ბაზა, რომლებშიც ნაჩვენები იყო ინფორმაცია იმ ახალგაზრდა მამაკაცების შემეცნებითი უნარის დონის შესახებ, რომლებიც გაიწვიეს სამსახურში, და მათი მამების ნასამართლობის არსებობის შესახებ. ერთ მილიონზე მეტი მამაკაცის მონაცემების შესწავლის შემდეგ მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ ჭაბუკებს, ვისი მამებიც არღვევდნენ კანონს, გამოირჩეოდნენ აგრესიული ქცევით ან მიდრეკილებით ძალადობისკენ, ოდესღაც იყვნენ ნასამართლევი, აქვთ უფრო დაბალი შემეცნებითი უნარი, ვიდრე იმ ახალგაზრდებს, ვისი მამებიც არასოდეს ყოფილან შემჩნეული ანტისაზოგადოებრივი მოვლენების ჩადენაში.

რაც უფრო მძიმე დანაშაულს ჩადიოდნენ მამები, მით უფრო დაბალი იყო მათი ვაჟიშვილების შემეცნებითი უნარი, მით უარესი იყო მათი წარმატებები. თანაც, როგორც მრავალფაქტორულმა ანალიზმა აჩვენა, ეს კავშირი იყო არა არახელსაყრელი ოჯახური ვითარების, არამედ გენეტიკური ფაქტორების შედეგი.



# სკანვორდი




## პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

## ◉ კადრი



## ◉ ცინცხალი ანეკდოტები

— რას აკეთებ?
— სამსახურში ვარ.
— მაპატიე, რომ გაგაღვიძე.

* * *

**ჩამოფრინდა** ქმარი მივლინებიდან და თავის ცოლს საწოლში უცხოპლანეტელთან წაასწრო.

— კარგი, მე ქმარი ვარ და სად ჯანდაბაში წავალ, — ეუბნება იგი უცხოპლანეტელს, — ამდენად, ჩემთან დაკავშირებით ყველაფერი ნათელია, მაგრამ შენ რა ჯანდაბამ გამოგაფრინა ამ სიშორეზე?

* * *

— რა გნებავთ? — ეკითხება აფთიაქარი ახალგაზრდა ქალს.
— ფეხმძიმობის ტესტი.
— რომელი?
— უარყოფითი, თუ შეიძლება.



* * *

— **მეც** მინდა, ღიმილით მოვყვე, რომ არც კი ვიცი, რამდენია ჩემი ხელფასი.
— სამაგიეროდ, ახლავე შეგიძლია თამამად ამტკიცო, რომ ვერც ხვდები, როგორი პენსია გექნება.

* * *

**ადრე** ძალიან არ მიყვარდა ძილი, რადგან, როდესაც გძინავს, თითქოს რვა საათით ეთიშები რეალობას. ახლა ძალიან მიყვარს ძილი, რადგან, როცა გძინავს, თითქოს რვა საათით ეთიშები რეალობას.

* * *

— **შვილო**, შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ და გაძლევ სიგარეტის მოწევის უფლებას, — ეუბნება მამა შვილს გამოსაშვებ საღამოს.
— გმადლობ, მამი, მაგრამ მე უკვე ორი წელია, რაც არ ვეწევი.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24